პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1981 წელი
შაბათი 16 მაისი
№ 113 (18055)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

# ხალხთა ლენინური მეგობრობის ჭეშმარიტი დღესასწაული

## აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლის თავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

**შესაძლებელი** რომ ყოფილიყო 15 მაისს გვენახა მთელი აფხაზეთი — ძველი აფსნი, „სულის ქვეყანა“, როგორც მას აფხაზები უწოდებენ, პირველი, რაც თვალში მოგვხვდებოდა, საყოველთაო-სახალხო ზეიმი იქნებოდა. ლეგენდებით მოსილი მხარე, ნართების — ზღაპრული გოლიათების მხარე, აბრსკილის — აფხაზი პრომეთეს, ხალხის ქომაგის მხარე ზეიმობდა თავისი ისტორიის სახელოვან თარიღს. უკვე სამოცი წელია მას თავს დანათის დიადი ოქტომბრის მზე, რომელმაც აქ თავისუფლება და ბედნიერება მოიტანა.

ზეიმის ცენტრი გახდა ტურფა სოხუმი, აფხაზეთის ასსრ დედაქალაქი, რომელიც სამართლიანად ითვლება შავიზღვისპირეთის მარგალიტთა მარგალიტად.

შესანიშნავია ამ გაზაფხულის დღეებში სოხუმი. ქალაქ-ბაღის, მეგობრობისა და ძმობის ქალაქის ქუჩები, სახლების ფასადები მორთულია წითელი ტრანსპარანტებითა და ლოზუნგებით, რომლებიც ადიდებენ დიდ ოქტომბერს, ხალხთა ურღვევ ლენინურ მეგობრობას — ოქტომბრის ამ უძვირფასეს მონაპოვარს.

მზიური ავტონომიური რესპუბლიკის ყველა კუთხიდან, რომლის ქალაქებსა და სოფლებში აფხაზების მხარდამხარ ცხოვრობენ და შრომობენ 70-ზე მეტი ეროვნების ადამიანები, ჩამოვიდნენ დღესასწაულზე სახელოვანი მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის წარმომადგენლები — ისინი, ვინც ამ შესანიშნავ მხარეს უხვეჭენ მშრომელი მხარის, შემოქმედი მხარის სახელს.

და დღეს მათ ბევრი რამ აქვთ საამაყო, ის, რით გაახარონ სამშობლო. მეათე ხუთწლედი აღინიშნა საზოგადოებრივი წარმოების უმაგალითო ამაღლებით, მეცნიერებისა და კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების სწრაფი განვითარებით. მშრომლები ამაყობენ იმით, რომ სამრეწველო პროდუქციის გამოშვება ხუთწლედის მანძილზე 42 პროცენტით და მეტად გაიზარდა, ხოლო შრომის ნაყოფიერება — პროგრესის ეს ძირითადი მაჩვენებელი — 41 პროცენტით.

მნიშვნელოვანი იყო სოფლის მშრომელთა წვლილიც. 400 ათასი ტონა მწვანე ფოთოლი ჩააბარეს სამშობლოს აფხაზეთის მეჩაიეებმა, ერთი წლით ადრე შესრულდა ციტრუსების წარმოების ხუთწლიანი დავალება, მტკიცედ ვითარდება მეცხოველეობა, მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის სხვა დარგები.

მეათე ხუთწლედში სახე იცვალა ქალაქებმა და სოფლებმა. უფრო გალამაზდა კურორტები. მარტო შარშან აფხაზეთის განთქმულ შავიზღვისპირეთის ჯანმრთელობის კერებში დაისვენა და ჯანმრთელობა გაიკაჟა მილიონნახევარზე მეტმა კაცმა. მშენებლებმა გასულ ხუთწლედში საექსპლოატაციოდ გადასცეს თითქმის 400 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, შეასრულეს სკოლების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების, საავადმყოფოების, კლუბებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების ამოქმედების გეგმები.

მრავალეროვანი ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის შემდგომი ამაღლების, სახელმწიფო ამოცანების გადაწყვეტაში მათი უშუალო მონაწილეობის გაძლიერების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების შესახებ. ენთუზიაზმის ახალი მოზღვავება გამოიწვია სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებმა, რომლებმაც განსაზღვრეს ხვალინდელი დღის ფართო ჰორიზონტები. ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, აფხაზეთის მშრომლებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენი დიადი სამშობლოს აყვავებაში.

სადღესასწაულოდ არის მორთული დღეს აფხაზეთის ს. ი. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, სადაც გაიმართა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლის თავს ეძღვნება. აქ შეიკრიბნენ ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების შრომითი კოლექტივების საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც საიუბილეო ზეიმზე ჩამოვიდნენ, პარტიისა და შრომის ვეტერანები, ახალგაზრდობა, საბჭოთა არმიის მეომრები. სცენის სიღრმეში მოჩანს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის ქანდაკება.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი, სკკპ ყარაჩაი-ჩერქეზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ა. ინჟიევსკი, სკკპ ყაბარდო-ბალყარეთის საოლქო კომიტეტის მდივანი მ. ი. დოქსონოვი, ადიღეს სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ს. ტლეხასი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი აფხაზეთის ასს რესპუბლიკისაგან, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. ჩებრიკოვი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი გ. ს. ტიტოვი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ო. კობახია, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ჯ. უბილავა, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები, რევოლუციური მოძრაობის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საიუბილეო ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციათა წევრები.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ბ. ვ. ადლეიბამ.

— ჩვენს მიწა-წყალზე მკაფიო და ნათელი დღესასწაული დადგა, რომლისკენაც აფხაზი ხალხი, ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა მთელი მრავალეროვანი ოჯახი ექვსი ათწლეულია მიდიოდა.

ხალხის ნებით შობილმა აფხაზეთის ავტონომიურმა საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, უკვდავი ლენინის გენიით, ისევე როგორც საბჭოეთის ყველა მოძმე მოკავშირე და ავტონომიურმა რესპუბლიკამ, მეტად მოკლე ისტორიულ ვადაში მიაღწია სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო მწვერვალებს.

უდიდესი შთამბეჭდავი გარდაქმნები, რომლებიც რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს შეეხო, პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელების, ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის შედეგია.

ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

შეკრებილთა ტაშის გრიალში საზეიმო სხდომის საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **ე. ა. შევარდნაძეს**, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. მან თქვა:

**ძვირფასო ამხანაგებო! მეგობრებო!**

ამ მაისის დღეებში ჩვენ ყველგან ვგრძნობთ განსაკუთრებით ზეიმურ, ამაღლებულ განწყობილებას, უდიდეს შრომით და პოლიტიკურ აღმავლობას. დიდი ოქტომბრის გამარჯვების ზალპების ექოდ, საქართველოს პროლეტარიატისა და მშრომელთა მასების რევოლუციური აჯანყების ალის ათინათად მოედო რესპუბლიკას საყოველთაო სახალხო დღესასწაული — საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღესასწაული. ამ დღეებში ჩვენ აღვნიშნეთ აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის 60 წლის იუბილეები. ახლა კი საიუბილეო ზეიმობათა მძლავრი ტალღა აფხაზეთს მოადგა.

ჩვენ ვდღესასწაულობთ საბჭოთა აფხაზეთის ცხოვრების ამ სახელოვან თარიღს, და გული გვევსება ყველაზე წრფელი სიხარულითა და სიამაყით ავტონომიური რესპუბლიკისათვის, მისი დაუღალავი მშრომელებისათვის, იმ საქმეებისა და მიღწევებისათვის, რომლებითაც უკანასკნელი 60 წელი აღინიშნა. დილით ჩვენ ჩავიარეთ გაახალგაზრდავებული სოხუმის ქუჩებში, ვტკბებოდით ლაჟვარდოვანი ზღვით, და იქვე ვხედავდით ყვავილების ზღვას, პირმოცინარი ხალხის ზღვას, გვესმოდა ადამიანთა ბედნიერი სიცილი და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, თუ რაოდენ დიდი ზეიმი დამდგარა თითოეულ სახლში, ყოველ ოჯახში.

ალბათ, მთელ ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ვერ იპოვი ისეთ კუთხეს, სადაც დღეს გამარჯვების არ ულოცავდნენ საბჭოთა აფხაზეთს, იმ დიდ გზას, რომელიც მან სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ექვსი ათწლეულის მანძილზე გამოიარა. იმიტომ, რომ ამ ძნელ გზაზე არ გვეგულება მონაკვეთი, ყველას ერთად, ერთიან მწყობრად რომ არ გამოგვევლოს, არ გვეგულება მოვლენა, რომელშიც ჩვენი საერთო ნება, ენერგია, ნიჭი არ ჩაგვექსოვოს, ხოლო როცა ადამიანებს საერთო საქმე აქვთ, მაშინ დღესასწაულიც საერთო ხოლმე.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით, საბჭოთა საქართველოს ყველა კომუნისტის, ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ და გულითადად მივულოცო ეს ნათელი დღესასწაული ავტონომიური რესპუბლიკის გმირ მუშათა კლასს, გამრჯე კოლმეურნე გლეხობას, ნიჭიერ ინტელიგენციას, შესანიშნავ ქალებსა და ახალგაზრდობას — ყველას, მივულოცო ჩვილს, რომელმაც პირველად დაინახა მზის ნათელი, და მივულოცო მხცოვან დღეგრძელს, რომელმაც ააყვავა ძველთაძველი და მარად ჭაბუკი აფსნი!

ავტონომიური რესპუბლიკის ბიოგრაფია, აფხაზეთის მშრომელების — 70-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლის, მრავალი თაობის ადამიანების ცხოვრების ამ დიდსა და საზეიმო დღეს უნებლიეთ გინდება გახედო წარსულს და გაიგო: მაინც, რა არის ყველა ჩვენი საკვირველი წარმატების, ყველა ჩვენი სახელოვანი გამარჯვების მთავარი საიდუმლო? და მუდამ ჟამს, როცა გონების თვალს ვავლებთ გამვლილ გზას, ჩვენ კვლავ და კვლავ ვრწმუნდებით, რომ ყველა მიღწევის საფუძველი, ყველა გამარჯვების საწინდარს შეადგენს ჩვენი ერთგულება ოქტომბრის იდეებისადმი, დიდი ლენინის საქმისადმი, ჩვენი ერთგულება კომუნისტური პარტიის იდეალებისა და მშობლიური საბჭოთა ხალხისადმი.

როცა ასეთი რაკურსით გავცქერით ისტორიას, ჩვენ, ჩვეულებრივ, მას ვაფასებთ უკანასკნელი დროის უმნიშვნელოვანესი მოვლენების სიმაღლიდან. ახლა კი ყოველი ჩვენგანისათვის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ჩვენი ლენინური პარტიის XXVI ყრილობა. როგორც უკვე მოსკოვში ვთქვით, საანგარიშო მოხსენება, რომელიც ყრილობაზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ეს არის მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხის აზრები და მისწრაფებები. ხოლო ჩვენი რესპუბლიკისათვის, საქართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის სკკპ XXVI ყრილობა განსაკუთრებით სამახსოვროა სხვა მიზეზების გამოც.

ერთი მხრივ, იმიტომ, რომ სწორედ ყრილობის მუშაობის პერიოდში — 1981 წლის 25 თებერვალს დაუდგა საბჭოთა საქართველოს თავისი ისტორიის მეშვიდე ათწლეული. და ამრიგად, ჩვენ თითქოს ანგარიში ჩავაბარეთ ჩვენი ქვეყნის კომუნისტებს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის სამოცივე წლის შესახებ, განვსაზღვრეთ მათთან ერთად რესპუბლიკის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები.

მეორე მხრივ, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ყრილობაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიამ მიაღწია რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპის მნიშვნელოვან გაძლიერებას, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ დასძინა, რომ საქართველოს კარგად მიუდის საქმე. ეს ძალზე მაღალი შეფასებაა, რომელიც ბევრს გვავალებს.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ლ. ი. ბრეჟნევმა საანგარიშო მოხსენებაში ჩვენი მუშაობა ფაქტობრივად ორჯერ შეაფასა: როცა ლაპარაკობდა მთლიანად რესპუბლიკაზე, და როცა შეეხო აფხაზეთის შესახებ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულებას.

ამ დადგენილებას ყველა ჩვენგანისათვის და, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, ავტონომიური რესპუბლიკის, მისი საოლქო პარტიული ორგანიზაციის, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანოებისათვის განსაკუთრებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს. მისი სულისკვეთებით არის გამსჭვალული აფხაზეთის კომუნისტთა, მშრომელთა მთელი საქმენი უკანასკნელი სამი წლის მანძილზე. ეს დოკუმენტი წარმართავს მათს მეცადინეობას აფხაზეთის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი ზრდისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, კადრების მომზადების სრულყოფისათვის, მოსახლეობის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებისათვის. და ამ საქმეებს, ამ გარჯას დადებითი შეფასება მიეცა ჩვენი პარტიის XXVI ყრილობაზე.

მე უკვე გავიხსენე ბათუმის ზეიმზე, ხოლო დღეს მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო ლ. ი. ბრეჟნევის ის სიტყვები, რომ „ჩვენი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე ისე იგებოდა, რომ რაც შეიძლება მალე დაგვეწინაურებინა რუსეთის ყოფილი ეროვნული განაპირა მხარეები მისი ცენტრის განვითარების დონემდე“. და სწორედ ამის შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ თანამიმდევრულად ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება აფხაზეთის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების შესახებ. ორივე ეს აზრი ერთსა და იმავე დღეს გამოითქვა საანგარიშო მოხსენებაში, მაგრამ თითქოს მათ შორის გადის საბჭოთა აფხაზეთის სახელოვანი ისტორიული მატიანის მთელი 60 წელი, შესანიშნავი, ტურფა მხარის დღევანდელი გაფურჩქვნისა და აყვავების მთელი დიდი და გრძელი გზა. ასეთი აყვავება შესაძლებელი გახდა, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის მეოხებით, ჩვენი რესპუბლიკისა და ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის, უწინარეს ყოვლისა, დიდი რუსი ხალხის უანგარო, ძმური მხარდაჭერის მეოხებით.

დღეს მაგონდება ღრმა, წარუვალი აზრით აღსავსე სიტყვები, რომლებიც პოეტმა ალექსანდრე ლასურიამ თქვა, აფხაზეთი ოქტომბერმა აღმოაჩინაო. ეს პოეტური ფორმულა შეგვიძლია სრული უფლებით მივაკუთვნოთ ჩვენი უკიდეგანო სამშობლოს ნებისმიერ კუთხეს. ვინაიდან სწორედ დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელიც ძლევამოსილად მოახდინა რუსეთის პროლეტარიატმა ბოლშევიკების პარტიის და მისი მეთაურის, დიდი ლენინის ხელმძღვანელობით, მსოფლიოს აღმოაჩენინა ის აურაცხელი შემოქმედებითი შესაძლებლობები, ის ულევი სულიერი ღირებულებანი, რომლებიც ყოველ ერს აქვს.

ოქტომბრის რევოლუციამ განსაზღვრა მისი დროშის ქვეშ დამდგარ ხალხთა ისტორიული სვეების სოციალისტური ხასიათი. ბუნებრივია, იმიტომ, რომ ამ ხალხებმა თავიდანვე დაუკავშირეს თავიანთი ბედ-იღბალი საბჭოთა რუსეთის ბედს. დღეს შეუძლებელია ღრმა სულიერი მღელვარების გარეშე წაიკითხო მგზნებარე სტრიქონები, რომლებითაც აფხაზეთის რევკომმა მიმართა ხალხს: „დარწმუნებული ვართ, რომ მსოფლიოს ხალხთა მშრომელების დიდი ქომაგი — საბჭოთა რუსეთი უარს არ გვეტყვის და ძმურ დახმარებას გაგვიწევს ჩვენს მძიმე ბრძოლაში“.

და საბჭოთა რუსეთმა გამოიჩინა უწმინდესი სოლიდარობა მებრძოლი ხალხისადმი, წითელმა არმიამ, რომლის რიგებში იბრძოდნენ რუსები, ქართველები, უკრაინელები, სომხები, ლატვიელები, სხვა ეროვნების ადამიანები, პირნათლად შეასრულა თავისი მაღალი გამათავისუფლებელი მისია. „წითელი არმია თავის თავს უღალატებდა, — წერდა იმ დღეებში სერგო ორჯონიკიძე, — აფხაზეთის აჯანყებული მუშებისა და გლეხების დასახმარებლად რომ არ მოსულიყო“.

(დასასრული მე-2 გვ.).

# საერთაშორისო ეკიპაჟი ორბიტაზეა

**საქდესის ცნობა**

1981 წლის 14 მაისს მოსკოვის დროით 21 საათსა და 17 წუთზე საბჭოთა კავშირში გაუშვეს „სოიუზ-40“ კოსმოსური ხომალდი.

კოსმოსურ ხომალდს პილოტობს საერთაშორისო ეკიპაჟი: ხომალდის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ლეონიდ პოპოვი და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქე, კოსმონავტი მკვლევარი დუმიტრუ პრუნარიუ.

„სოიუზ-40“ ხომალდის ფრენის პროგრამით გათვალისწინებულია შეპირაპირება „სალუტ-6“ — „სოიუზ ტ-4“ ორბიტულ სამეცნიერო-კვლევით კომპლექსთან. კოსმონავტებმა პოპოვმა და პრუნარიუმ კომპლექსში უნდა შეასრულონ მთელი რიგი გამოკვლევები და ექსპერიმენტები კოსმონავტებთან კოვალიონოკთან და სავინიხთან ერთად, რომლებიც დედამიწისირგვლივ ორბიტაზე 1981 წლის 12 მარტიდან მუშაობენ.

კოსმოსურ ფრენას საერთაშორისო ეკიპაჟი ახორციელებს „ინტერკოსმოსის“ პროგრამის შესაბამისად, რომლის ფარგლებში 1978 წლის მარტიდან მოეწყო საბჭოთა კავშირისა და მოძმე სოციალისტური ქვეყნების მოქალაქეთა რვა ერთობლივი ფრენა.

„სოიუზ-40“ ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. კოსმონავტები პოპოვი და პრუნარიუ თავს კარგად გრძნობენ.



„სოიუზ-40“ კოსმოსური ხომალდის მეთაური, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი ლეონიდ ივანეს ძე პოპოვი.



„სოიუზ-40“ კოსმოსური ხომალდის მკვლევარი კოსმონავტი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქე დუმიტრუ პრუნარიუ.

## ბიოგრაფიის ფურცლები

### ლეონიდ ივანეს ძე პოპოვი

**საბჭოთა** კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ლეონიდ ივანეს ძე პოპოვი დაიბადა 1945 წლის 31 აგვისტოს კიროვოგრადის ოლქის ქალაქ ალექსანდრიაში.

1968 წელს ჩერნიგოვის ლენინური კომკავშირის სახელობის მფრინავთა უმაღლესი სამხედრო საავიაციო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა ავიაგამანადგურებელ მფრინავად სამხედრო-საჰაერო ძალებში.

1970 წელს ლეონიდ ივანეს ძე ჩაირიცხა კოსმონავტთა რაზმში. მონაწილეობდა კოსმოსური აპარატების ფრენის მართვაში.

ლ. ი. პოპოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1971 წლიდან.

1976 წელს მუშაობას მოუწყვეტლივ კოსმონავტთა მზადების ცენტრში დაამთავრა ი. ა. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია.

თავისი პირველი, 185 დღე-ღამის ხანგრძლივობის კოსმოსური ფრენა ლ. ი. პოპოვმა განახორციელა 1980 წელს „სალუტ-6“ სადგურში ძირითადი ექსპედიციის მეთაურად.

### დუმიტრუ პრუნარიუ

**რუმინეთის** სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქე დუმიტრუ პრუნარიუ დაიბადა 1952 წლის 27 სექტემბერს ქალაქ ბრაშოვში.

1976 წელს ბუქარესტის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ინჟინრად საავიაციო ქარხანაში. შემდეგ დაამთავრა ოფიცერთა სამხედრო-საავიაციო სკოლა და მსახურობდა რუმინეთის სახალხო არმიის საავიაციო პოლკში.

უფროსი ლეიტენანტი—ინჟინერი დუმიტრუ პრუნარიუ რუმინეთის კომუნისტური პარტიის წევრია 1973 წლიდან.

1978 წლის მარტში „ინტერკოსმოსის“ პროგრამით კოსმოსური ფრენისათვის მზადება დაიწყო ი. ა. გაგარინის სახელობის კოსმონავტთა მომზადების ცენტრში. გაიარა სწავლების სრული კურსი „სოიუზის“ პილოტირებული ხომალდისა და „სალუტის“ ორბიტული სადგურის პროგრამით.

## „სოიუზ-40“ ხომალდის მეთაურის განცხადება სტარტის წინ

**ძვირფასო** ამხანაგებო და მეგობრებო!

დღეს საბჭოთა „სოიუზ-40“ ხომალდით კოსმოსში მიფრინავენ მოძმე ქვეყნების — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქენი. წილად მხვდა დიდი ნდობა და პატივი — ვიყო ამ საერთაშორისო ეკიპაჟის მეთაური.

20 წლის წინათ, 1961 წლის 12 აპრილს, ჩვენ გავიგეთ დედამიწის პირველი კოსმონავტის — სსრ კავშირის მოქალაქის სახელი. ჩვენი სამშობლოს მამაცი შვილის იური ალექსის ძე გაგარინის უკვდავი გმირობა გახდა დიადი მაგალითი, რომელიც ახალი სტარტებისათვის გვიხმობს.

ჩვენი ფრენა ამთავრებს ერთობლივ გამოკვლევებსა და ექსპერიმენტებს, რომლებსაც სოციალისტური ქვეყნების კოსმონავტები ასრულებენ „ინტერკოსმოსის“ მიერ შემუშავებული პროგრამით „სალუტ—6“-„სოიუზ“ საბჭოთა ორბიტულ სამეცნიერო-კვლევით კომპლექსში.

მოძმე ქვეყნების წარმომადგენელთა ერთობლივი ფრენა კოსმოსში მოწმობს სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ურღვევ მეგობრობას, ნაყოფიერ თანამშრომლობასა და ერთიანობას.

„სოიუზ-40“ ხომალდის ეკიპაჟის სახელით მოგახსენებთ: კოსმოსური ფრენისათვის მზად ვართ, არ დავიშურებთ ცოდნასა და გამოცდილებას მონდობილი საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანის შესასრულებლად.

**„სოიუზ-40“ ხომალდის მეთაური, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი**
**ლეონიდ პოპოვი.**

## „სოიუზ-40“ ხომალდის კოსმონავტი მკვლევარის განცხადება სტარტის წინ

**ძვირფასო** ამხანაგებო და მეგობრებო!

მე, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქეს, წილად მხვდა დიდი პატივი. მივფრინავ კოსმოსში და შეგნებული მაქვს, რომ ამით მეკისრება დიდი პატრიოტული პასუხისმგებლობის ამოცანა — ახალი და მნიშვნელოვანი ფურცელი ჩავწერო რუმინეთის ავიაციის მატიანეში — ფრენა კოსმოსში.

მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი მთელი ძალ-ღონითა და უსაზღვრო ერთგულებით შევუწყო ხელი ჩვენი კოსმოსური ფრენის პროგრამის შესრულებას.

მე, როგორც კომუნისტი, განსაკუთრებულ კმაყოფილებას მანიჭებს ჩემი კოსმოსური ფრენა მივუძღვნა რუმინეთის კომუნისტური პარტიის — სოციალისტური რუმინეთის სახელოვანი დამაარსებლის — შექმნის მე-60 წლის თავს.

ამ შთამბეჭდავ მომენტში, ნება მიბოძეთ, უღრმესად გულწრფელი მადლობა მოვახსენო რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, პირადად ამხანაგებს ნიკოლაე ჩაუშესკუსა და ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს ნდობისათვის.

ჩვენი ფრენა, უეჭველია, ხელს შეუწყობს მშვიდობიანი მიზნით, საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესებისათვის, მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ სოციალისტური ქვეყნების კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის წარმატებით შესრულებას.

ჩვენი ფრენა ემსახურება რუმინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას, გულითად მეგობრობას, თანამშრომლობასა და ჩვენი ხალხების სოლიდარობას, მშვიდობასა და საერთაშორისო პროგრესს!

მოგახსენებთ: ფრენისათვის მზად ვარ.

**„სოიუზ-40“ ხომალდის კოსმონავტი მკვლევარი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქე**
**დუმიტრუ პრუნარიუ**

# ყვავილები ლენინს

**სოხუმი**, 15 მაისი (საქინფორმის სპეც. კორ.). სულ ახლახან, 22 აპრილს, დიდი ლენინის დაბადების დღეს გმირმა დედამ გულიკო დავითის ასულმა ტარკილმა მოამზადა თავისი თერთმეტი შვილი და მთის სოფელ ანუხვიდან სოხუმში ჩამოიყვანა. ასე მთელი ოჯახით მივიდნენ ისინი აფხაზეთის დედაქალაქის მთავარ მოედანზე და მინდვრის ყვავილების თაიგულებით შეამკეს საყვარელი ილიჩის ძეგლის მარმარილოს ფილა.

საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღეებში ლენინის ძეგლთან ყვავილებით მისვლა დიდი ხანია ტრადიციად იქცა მრავალეროვანი ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებთათვის. აქედან დაიწყო დღეს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლის თავის სასიხარულო დღესასწაული. იმათ შორის, ვინც იუბილეზე ლენინის ძეგლთან მივიდა ყვავილებით, არიან ჰალარა დავით პეტრეს ძე აგრბაც — კომუნისტთა ლენინური გვარდიის წევრი 1919 წლიდან, ამჟამად მთელ ქვეყანაში ცნობილი მეჩაიე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ნორა გიორგის ასული საქანია და სხვა წარჩინებულნი...

ვ. ი. ლენინის ძეგლთან მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი, სკკპ ყარაჩაი-ჩერქეზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ა. ინჟიევსკი, სკკპ ყაბარდო-ბალყარეთის საოლქო კომიტეტის მდივანი მ. ი. დოქსონოვი, ადიღეს სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ს. ტლეხასი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი აფხაზეთის ასს რესპუბლიკისაგან, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. ჩებრიკოვი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი გ. ს. ტიტოვი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ო. კობახია, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ჯ. უბილავა, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები, რევოლუციური მოძრაობის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საიუბილეო ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციათა წევრები.

მოედანი გაირინდა, დგება საზეიმო წუთი. ძეგლს გვირგვინებით ამკობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით, აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლის თავისადმი მიძღვნილი საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომის მონაწილეთა სახელით, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, სკკპ ყაბარდო-ბალყარეთის საოლქო კომიტეტის, ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, სკკპ ყარაჩაი-ჩერქეზეთის საოლქო კომიტეტის სახელით.

ძეგლის შემკობისას წუთიერი დუმილით პატივი სცეს დიდი ბელადის ხსოვნას.

# დარბაზობა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლის თავის აღსანიშნავად

**საქართველოს** კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ დარბაზობა მოაწყვეს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლის თავის აღსანიშნავად.

დარბაზობაზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი, სკკპ ყარაჩაი-ჩერქეზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ა. ინჟიევსკი, სკკპ ყაბარდო-ბალყარეთის საოლქო კომიტეტის მდივანი მ. ი. დოქსონოვი, ადიღეს სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ს. ტლეხასი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი აფხაზეთის ასს რესპუბლიკისაგან, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. ჩებრიკოვი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი გ. ს. ტიტოვი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ო. კობახია, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ჯ. უბილავა, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, რევოლუციური მოძრაობის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანები, ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საიუბილეო ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციათა წევრები.

(საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხალხთა ლენინური მეგობრობის ჭეშმარიტი დღესასწაული

(დასასრული)

ჩვენ არასოდეს არ დაგვავიწყდება წითელი არმიის მებრძოლთა ეს ინტერნაციონალური გმირობა, რუსი ხალხის, რუსეთის პროლეტარიატის ეს უდიდესი მხარდაჭერა. და როცა კი შესაფერისი შემთხვევა გვეძლევა, ჩვენ მუდამჟამს მოვახსენებთ მას უღრმეს მადლობას.

განვითარების სოციალისტური გზით ჩვენი წარმატებული წინსვლის 60 წელი — ეს არის ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ლენინური ეროვნული პოლიტიკის საფუძველზე საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ძმობის განმტკიცების 60 წელი. ამ რევოლუციური ძმობის სათავე თვით პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეალებიდან მოდის. დიდი პარტიული მეგობრობა აკავშირებდა სერგო ორჯონიკიძეს ნესტორ ლაკობასთან, ეფრემ ეშბასთან და სხვა აფხაზ რევოლუციონერებთან. ჩვენ მოწიწებით ვიხსენებთ ბოლშევიკ ლენინელებს. გამოჩენილ ინტერნაციონალისტებს, აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლებს, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს — ნიკოლოზ აკირტავას, კონსტანტინე მაკაროვს, ხაჯარატ შამბას, გიორგი ათარბეგოვს, პეტრე ალნიაშვილს, ეგნატე ვარდანიას, ვასილ აგრბას, ვლადიმერ ადლეიბას, სევერიანე კუხალეიშვილს, პეტრე ლადარიას, ნიკოლოზ ბოკუჩავას, ალექსი ძიძარიას, მაქსიმე გობეჩიას, ნიკოლოზ ბორისენკოს, პავლე ძიგუას, სარქის ლევონიანს, პავლე ბიგვავას, იასონ ხაბურზანიას და მრავალ სხვას. რევოლუციურად განწყობილი გლეხები — ღარიბ-ღატაკები, მოჯამაგირეები და სხვადასხვა ეროვნების მუშები — აფხაზები, ქართველები, რუსები, სომხები — ყველანი ერთად იბრძოდნენ „კიარაზის" საბრძოლო რაზმებშიც. ისინი იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის, აფხაზეთის მშრომელი ხალხისათვის, მისი მომავალი ნათელი ცხოვრებისათვის.

დიდმა ოქტომბერმა ჩვენი ქვეყნის ხალხებს მისცა მიზნები და იდეალები, რომლებმაც მონოლითურად შეგვაკავშირა, ფრთა შეგვასხა ისეთი მიღწევებისათვის, როგორიც არ ახსოვდა კაცობრიობის ისტორიას. უმაგალითოდ მოკლე ვადაში პრაქტიკულად არაფრისაგან შეიქმნა მძლავრი ეკონომიკა, ჩაიყარა სოციალიზმის საფუძველი.

ეს რა თქმა უნდა, ძალზე რთული და ძალზე ძნელი, გმირული სამუშაო იყო, მაგრამ სწორედ ამ სიძნელეებში გამოიწრთო საბჭოთა ადამიანების ის ფოლადისებური ერთიანობა, რომელმაც კისერი წაატეხინა სოციალიზმის მონაპოვრების ხელმყოფ ჰიტლერულ ფაშიზმს.

ჩვენმა ხალხმა გადაიტანა მთავარი სიმძიმე ამ ომში, რომელსაც ჩვენ დიდ სამამულოს ვუწოდებთ. „დაირაზმა რა ლენინის პარტიის გარშემო, — თქვა გმირ ქალაქ კიევში მემორიალური კომპლექსის საზეიმო გახსნაზე გამოსვლისას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — იგი აღდგა თავისი ქვეყნის თავისუფლების, თავისი საარსებო იდეალების დასაცავად".

ჩვენს ქვეყანაში არ არის ისეთი მხარე, რომელსაც თავისი შვილები არ გაეგზავნოს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად, ჩვენს ქვეყანაში არ არის ისეთი მხარე, რომლის შვილებს სიცოცხლე არ შეეწიროთ ფაშიზმზე გამარჯვების საქმისათვის. ჩვენ, ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს მუდამ გვეხსომება მათი სახელი, და ამ საზეიმო ნუსხაში მუდამ ამაყად იხმიანებს აფხაზი ხალხის, აფხაზეთის, მთელი საქართველოს მოსახლე ყველა ხალხის მამულიშვილთა სახელი, რომლებიც გმირულად იბრძოდნენ კავკასიაში, უკრაინაში, ბელორუსიაში, მოსკოვისა და ლენინგრადის მისადგომებთან, სტალინგრადთან, დამხობილ ბერლინში, ყველგან, სადაც მიმდინარეობდა უმაგალითო ბრძოლა მშვიდობის, გონების, ადამიანობის გამარჯვებისათვის.

უკვდავი დიდების შარავანდედით შემოსნენ ჩვენი გმირები მელიტონ ქანთარია, ვლადიმერ ხარაზია, ვიტალი პოპკოვი, ვარლამ გაბლია, იასონ კოკოსკერია, გიორგი დერმანოვსკი, იაროსლავ იოსელიანი, ნიკიფორე უსოვი, რაჟდენ ბარციცი, ერვანდ გარანიანი, ნიკოლოზ ხოდოსოვი, დავით თავაძე, ივანე ვანაჩა, როდიონ წულაია, ივანე ერმინი და საბჭოთა აფხაზეთის ათასობით სხვა მამულიშვილი. მათი გმირობა, მათი უმაგალითო ძმობა ასწავლის და ზრდის მშრომელთა ახლანდელ თაობებს, ჩვენს ახალგაზრდობას, ფრთას გვასხამს საგმირო საქმეებისათვის ამ მშვიდობიან სადაგ დღეებში.

განვითარების სოციალისტური გზით ჩვენი მტკიცე წინსვლის 60 წელი— ეს არის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე ჩვენი ეკონომიკური ძლიერების მძლავრი ზრდის 60 წელი.

ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში თითქმის საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ვ. ი. ლენინმა ისტორიული წერილით მიმართა კავკასიის ამხანაგ კომუნისტებს, რომელშიც ჩვენი მხარის სოციალისტური გარდაქმნების ზუსტი პროგრამა ჩამოაყალიბა. „ნავთი, მანგანუმი, ქვანახშირი (ტყვარჩელის მაღაროები), სპილენძი — ასეთია უდიდეს სამთამადნო სიმდიდრეთა არასრული სია", — წერდა ვ. ი. ლენინი. და ცოტა ხნის შემდეგ ტყვარჩელის— აფხაზეთისა და მთელი რესპუბლიკის ახლანდელი მსხვილი ინდუსტრიული ცენტრის ქვანახშირის საბადოები ჩადგა ხალხის სამსახურში, სოციალისტური ეკონომიკის სამსახურში.

ტყვარჩელის მაგალითზე კარგად ჩანს, რა ნაბიჯი გადაუდგამს ავტონომიურ რესპუბლიკას უკანასკნელი სამოცი წლის განმავლობაში თავისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების გზაზე. ქალაქში იქმნება ყველაზე თანამედროვე და პერსპექტიული წარმოებანი. და ჩვენ კვლავ მადლიერებით ვიხსენებთ, რომ ტყვარჩელის პირველი შახტების მშენებლები იყვნენ დონბასელი მაღაროელები, რომ მათ მხარდამხარ შრომობდა მთელი აფხაზეთის, მთელი საქართველოს ახალგაზრდობა. სწორედ მაშინ იწყო ჩამოყალიბება სოციალისტური ტყვარჩელის ინტერნაციონალურმა იერსახემ, ავტონომიური რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და სოფლის სოციალისტურმა იერსახემ. სწორედ მაშინ იწყო მტკიცე განვითარება მისმა სოციალისტურმა ეკონომიკამ. 60 წლის მანძილზე სამრეწველო წარმოება 47-ჯერ გაიზარდა.

მრეწველობასთან ერთად სწრაფად ვითარდებოდა სოფლის მეურნეობა. აფხაზეთი ქვეყანაში ჩაისა და ციტრუსის ერთ-ერთი მთავარი მწარმოებელი გახდა. დღეს აქ განუხრელად ღონიერდება მეცხოველეობა, მეთამბაქოეობა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგები. უნდა აღინიშნოს, რომ მათი განვითარება მიმდინარეობს ფართო ინდუსტრიალიზაციის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ინტენსიური ფაქტორების ამოქმედების ბაზაზე, ანუ მთლიანად შეესაბამება ჩვენი პარტიის თანამედროვე ეტაპის აგრარული პოლიტიკის მოთხოვნებს.

ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას უდიდესი სახსრები ხმარდება. და აფხაზეთის მშრომელები მთელ რესპუბლიკასთან ერთად ძალ-ღონისა და ენერგიის დაუშურებლად დღითიდღე ამრავლებენ თავიანთ წვლილს ჩვენი დიადი სამშობლოს მატერიალური დოვლათის ზრდაში, ამასთან აქტიურად იყენებენ ქვეყნის მოწინავე რეგიონების გამოცდილებას.

განვითარების სოციალისტური გზით ჩვენი მტკიცე წინსვლის 60 წელი — ეს არის საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის თანამიმდევრული გაუმჯობესების, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე მისი კულტურის აყვავების 60 წელი.

გასაოცარი წარმატებები მოიპოვა საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფხაზეთის კულტურამაც. დღეს ავტონომიურ რესპუბლიკაში არის 20-მდე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, 300-მდე კლუბი, 400-ზე მეტი ბიბლიოთეკა, ორი უმაღლესი სასწავლებელი, ორი დრამატული თეატრი — აფხაზური და ქართული, კულტურის სხვა კერები.

ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერები, რომელთა შორის არიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები და წევრ-კორესპონდენტები, წარმატებით ეწევიან კვლევას ბევრ საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო დისციპლინაში, და მათმა ნაშრომებმა ფართო აღიარება მოიპოვა.

სპეციალისტებს, მთელ ჩვენს საზოგადოებრიობას შორის დამსახურებული ავტორიტეტი აქვთ მოხვეჭილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ზურაბ ვიანორის ძე ანჩაბაძის, გიორგი ალექსის ძე ძიძარიას, რეგაზ გიორგის ძე სალუქვაძის, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ბორის არკადის ძე ლაპინის და მრავალი სხვა სწავლულის შრომებს.

უმაგალითოდ აყვავდა ლიტერატურა და ხელოვნება, რომლებმაც შეისისხლხორცეს საბჭოთა აფხაზეთის მოსახლე ყველა ერისა და ეროვნების საუკუნო სიბრძნე. და, რაღა თქმა უნდა, ჩვენ ძალზე გვახარებს აფხაზ მწერალთა და პოეტთა შემოქმედებითი მიღწევები, რომელთაგან თითოეულს თავისი განუმეორებელი ხელწერა აქვს და რომლებიც ყველანი ერთად წარმატებით განაგრძობენ და ავითარებენ თანამედროვე ლიტერატურული აფხაზური ენისა და აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის, დიდი აფხაზი მამულიშვილის დიმიტრი გულიას შესანიშნავ ტრადიციებს. გუშინწინ ჩვენ საზეიმო ვითარებაში გავხსენით დიმიტრი გულიას ძეგლი თბილისში, ქუჩაზე, რომელიც მის სახელს ატარებს. იგი ახლა აღმართულია როგორც შესანიშნავი პოეტისა და საზოგადო მოღვაწისადმი ჩვენი უღრმესი პატივისცემის სიმბოლო, როგორც მთელი აფხაზური კულტურისადმი ჩვენი უდიდესი პატივისცემის სიმბოლო. ბაგრატ შინკუბას, ივანე თარბას, ალექსი ჯონუას, მუშნი ლასურიას, ალექსი გოგუას, გიორგი გუბლიას, ვალოდია აჯინჯალის და სხვათა ნაწარმოებები მრავალ ენაზე ითარგმნება და, როგორც წესი, მათ პირველი ეცნობა ქართველი მკითხველი. ახლახან კი მუშნი ლასურიას შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭა „ვეფხისტყაოსნის" აფხაზურ ენაზე თარგმნისათვის. ნაყოფიერად მუშაობენ აფხაზეთში ქართულენოვანი ლიტერატორებიც — მირიან მირნელი, გენო კალანდია, მოსე გვასალია, შოთა აკობია და სხვები, ავტორები, რომლებიც რუსულ ენაზე წერენ. ჩვენი რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების მოყვარულნი კარგად იცნობენ დიმიტრი გულიას ძეგლის ავტორს, საქართველოს დამსახურებულ მხატვარს ვიტალი ივანბას. მოსწონთ მათ ფუნჯისა და საჭრეთლის დამსახურებული ოსტატების მარინე ეშბას, ბიძინა ღოღობერიძის, ჰოლა კუკულაძის, სერგი გაბელიას, ხუტა ავიძბას, ნიკოლოზ ბერნადინისა და მრავალი სხვა ხელოვანის ნაწარმოებები.

ჩვენი მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვთ ალექსი ჩიჩბას, რაჟდენ გუმბას, მამია ბერიკაშვილს, კონსტანტინე ჩენგელიას, ვალერი ჭკადუას, ლეონიდე ჩებელიანს და მრავალ სხვას.

ალბათ, სწორედ ასეთად — მეგობრულად, ბედნიერად და მარად ჭაბუკად წარმოედგინა დღევანდელი აფხაზეთი დიმიტრი გულიას. იგი ხედავდა მის ნარინჯოვან ციტრუსის ბაღებს, ადამიანებს რომ ჩუქნიან მზისაგან მიღებულ სითბოს. ეს შესანიშნავი მხარე, რომელიც საუკუნეთა მანძილზე განიცდიდა დამპყრობთა სასტიკ შემოსევებს, მამაცურად ებრძოდა მათ, დღეს მასპინძლობს მილიონობით სტუმარს, რომლებიც აქ ქვეყნის ყველა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოდიან და რომლებიც სამართლიანად უწოდებენ აფხაზეთს „საკავშირო ჯანმრთელობის კერას", „ზღვისპირა მარგალიტს". აფხაზეთიდან მიმავალ ყოველ ადამიანს აქ რჩება ერთგული მეგობრები და თან მიჰყვება ყველაზე თბილი და სასიამოვნო მოგონებები.

და ყოველივე, რაც დღეს აფხაზეთშია შექმნილი, მთელი მისი მატერიალური და სულიერი სიმდიდრენი —ეს, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან მეგობრობისა და ძმობის, მათი მონოლითური შეკავშირებისა და ურთიერთდახმარების კანონზომიერი შედეგია.

ყოველივე ეს ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ყოველდღიური ყურადღების და მზრუნველობის შედეგია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ ამ ყურადღებისა და ამ უდიდესი ლენინური მზრუნველობის კიდევ ერთი დამაჯერებელი და მკაფიო დადასტურებაა. მას დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმ დოკუმენტებს შორის, რომლებიც პარტიას და მთავრობას მიუღიათ ჩვენი რესპუბლიკისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით დაწყებული. სწორედ ეს გადაწყვეტილებები გახდა ის ურყევი საძირკველი, რომელზე დაყრდნობითაც ჩვენ მტკიცედ ვიღწვით როგორც მთელი რესპუბლიკის, ისე მისი ცალკეული რეგიონების, კერძოდ, აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპის დაჩქარებისათვის.

ამას ყველაზე თვალსაჩინოდ ადასტურებს მეათე ხუთწლედის შედეგები, რომლის უკანასკნელ წლებში აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაცია, პარტიის საოლქო კომიტეტი, საოლქო კომიტეტის ბიურო ამხ. ბ. ვ. ადლეიბას მეთაურობით შეუპოვარ მუშაობას ეწეოდნენ, რათა ხორცი შეესხათ დადგენილებებისათვის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ. მიზანსწრაფვამ, თანამიმდევრულობამ, მაღალმა შეგნებამ აფხაზეთის კომუნისტებსა და მშრომელებს არსებითი ძვრები მოუტანა ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულ, სახელმწიფო, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

70-იანი წლების მეორე ნახევარი საბჭოთა აფხაზეთში აღინიშნა სამრეწველო წარმოების და შრომის ნაყოფიერების ზრდის სწრაფი ტემპით, წარმოების საერთო მოცულობაში ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წონის გადიდებით. მეათე ხუთწლედში ამოქმედდა 368 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები —ეს 114 მილიონი მანეთით მეტია მეცხრე ხუთწლედთან შედარებით. ოთხ წელიწადში გაანაღდეს ხუთი წლის დავალება მეციტრუსეებმა, და ოთხწელიწად-ნახევარში—მეჩაიეებმა. აფხაზეთის კომუნისტები, ყველა მშრომელი მთელ ჩვენს რესპუბლიკასთან ერთად ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXVI ყრილობას და სამართლიანად დაიმსახურეს მისი მაღალი შეფასება.

აქ რომ მოვყოლოდით ყველა იმათგანის ჩამოთვლას, ვინც თავისი ენერგია და უნარი ჩააქსოვა ამ წარმატებას, ალბათ საბჭოთა აფხაზეთის მშრომელთა უმრავლესობის ჩამოთვლა მოგვიწევდა. უნდა ჩამოგვეთვალა ლეონტი ტყებუჩავასა და ანატოლი აჟიბას, მარგო კვარჭიასა და ლარისა ოტირბას, ბენციონ კორიტნისა და იმზხანუი კესიანის, როდიკო გაბელიასა და ალექსი მასკალიდის, ივანე გუბაზისა და ლუდვიგ გულორდავას, ტარიელ ლომიძის სადარი ადამიანები. უნდა ჩამოგვეთვალა მიწის შესანიშნავი მშრომელების ალექსანდრა ვოუბასა და ცაცა ქარდავას, ნორა საქანიასა და ხაკიბეი აიბას, ნაზიბროლა ხასიასა და ინკა ლოკის, ვართინერ ავეტიქიანისა და ლამარა კვიტაიშვილის, და სხვათა და სხვათა, მათ სადარ ადამიანთა სახელები.

დიდება საბჭოთა აფხაზეთის სახელოვან მშრომელებს!

აბა, ჩავუკვირდეთ, რაოდენ აქტუალურად, რაოდენ ამაყად ჟღერს დღეს სიტყვები, ნესტორ ლაკობამ რომ თქვა ჩვენი პარტიის XV ყრილობაზე: „ცენტრალური კომიტეტის სწორი ლენინური ხაზი ჩანს ისეთ კერძო მაგალითზეც, როგორიც აფხაზეთია. წინათ ჩაგრული, ფიზიკური გადაგვარებისათვის განწირული აფხაზეთი ახლა, საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში, სრულიად თავისუფალია და წლითიწლობით ავითარებს თავის კულტურასა და მეურნეობას.

საბჭოთა აფხაზეთმა მტკიცედ დაიწყო ოთხმოციანი წლები, კომუნისტური მშენებლობის ახალი ეტაპი. და თუმცა მისი წარმატებანი გვახარებს, ავტონომიური რესპუბლიკის მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, სახალხო ინტელიგენციას, ისევე როგორც საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელს, წინ ძალზე ბევრი სამუშაო უძევთ. როგორც იცით, ამ ათწლეულში ჩვენ უნდა მივაღწიოთ ჩვენი ქვეყნის ყველაზე მოწინავე პოზიციებს ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, საბოლოოდ დავძლიოთ საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით არსებული ჩამორჩენა. მაგალითად, აფხაზეთში მეთერთმეტე ხუთწლედის მანძილზე, მარტო მიმდინარე საბიუჯეტო ასიგნებათა გარდა, უნდა ავითვისოთ ნახევარ მილიარდ მანეთზე მეტი. ეს ნიშნავს, რომ უახლოეს ორ წელიწადში 2-ჯერ გაიზრდება წამყვანი საწარმოს — „სოხუმხელსაწყოს" ქარხნის სიმძლავრე, კიდევ უფრო დაჩქარდება ტყვარჩელის ეკონომიკური და სოციალური განვითარება, ხელახლა აღიჭურვება თევზის გადამმუშავებელი საწარმოები, შემდგომ განვითარებას პოვებს ჩაის მრეწველობა, განმტკიცდება რკინიგზის ტრანსპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არსებითად შეივსება საავტომობილო პარკი და ა. შ. სოფლის მშრომელებს დიდი როლი განეკუთვნებათ იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ცნობილ დადგენილებაში საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების შემდგომი ზრდისა და სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარების შესახებ, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სასურსათო პროგრამის ჩამოყალიბებაში.

ასეთივე სწრაფი ტემპით ვითარდება ავტონომიურ რესპუბლიკაში სოციალური და კულტურული პროცესები. მთელმა საბჭოთა საქართველომ კმაყოფილებით აღიქვა აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნის ფაქტი, ავტონომიურ რესპუბლიკაში ახალი პერიოდული გამოცემების გამოსვლა, ადგილობრივი ტელევიზიის განვითარების ახალი ეტაპი, საბჭოთა აფხაზეთის კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და გაფართოება, საბინაო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ფართო გაქანება. ყველა ამ ღონისძიების განხორციელება უშუალოდ არის დაკავშირებული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებასთან აფხაზეთის შესახებ, რომელიც XXVI ყრილობაზე მოიხსენია ლ. ი. ბრეჟნევმა, იმ გადაწყვეტილებათა შესრულებასთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ რომ მიიღეს ავტონომიური რესპუბლიკის, მისი ცალკეული რაიონებისა და ქალაქების შესახებ. უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო წლებში ჩვენ რესპუბლიკაში ათობით ასეთი დადგენილება მივიღეთ აფხაზეთის შესახებ.

რესპუბლიკის ხელმძღვანელები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ აფხაზური კულტურის, აფხაზური ენის შემდგომ განვითარებას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყოველი ჩვენი რესპუბლიკური მასშტაბის ხელმძღვანელი, როცა ხელშემწყობ პირობებს უქმნის ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის განვითარებასა და გამდიდრებას, რუსული ენის, იმ ენის შესწავლას, რომელიც ჩვენს ეპოქაში ხალხთა ურთიერთობის ენად იქცა, მოვალეა ზუსტად ასევე, ასეთივე რუდუნებით, ასეთივე სიყვარულით ეკიდებოდეს ყველა იმ ეროვნული ენის განვითარებას, რომლებზეც წარმოებს სწავლება რესპუბლიკის სკოლებში, მათ შორის აფხაზური ენის, აფხაზური ლიტერატურის, მთელი აფხაზური კულტურის განვითარებას.

ენა ნებისმიერი ერის ერთ-ერთი მთავარი საუნჯეა. მე უკვე არაერთგზის მითქვამს, რომ ჩვენ, ქართველებს, უდიდეს კმაყოფილებას გვანიჭებს აფხაზური მეტყველების მოსმენა, რომ ჩვენს უშუალო მოვალეობად მიგვაჩნია ხელი შევუწყოთ აფხაზური ენის განვითარებას. და იმას, რომ ამ მიმართულებით სერიოზულ ნაბიჯებს ვდგამთ, მოწმობს, კერძოდ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ჩვენი რესპუბლიკის სასწავლებლებში მშობლიური ენების, მათ შორის აფხაზური ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ.

ყველა ეს საკითხი, ისევე როგორც პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა, ჩვენს დადგენილებათა შესაბამისად ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები, ნიადაგ აქვთ ყურადღების ცენტრში პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სხვა ორგანოებს. რა თქმა უნდა, ყოველთვის ყველაფერი ისე ვერ გამოგვდის, როგორც ჯერ არს. პრობლემებზე, ზოგჯერ რომ წამოგვეჭრება ხოლმე, ჩვენ არაერთგზის და ძალზე დაწვრილებით გვილაპარაკია თქვენი საოლქო პარტიული ორგანიზაციის კომუნისტებთან. გვილაპარაკია ორ პარტიულ კონფერენციაზე, იმ მრავალრიცხოვან შეხვედრებზე, შრომითს კოლექტივებში რომ გვქონდა.

ეს საკითხები ზედმიწევნით და უაღრესად დაწვრილებით გავაანალიზეთ გაგრის რაიონული პარტორგანიზაციის აქტივის კრებაზე გასული წლის აგვისტოში. ამ აქტივზე წაკითხული მოხსენება — ეს გახლავთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ყველა წევრის კოლექტიური ნაშრომი, კოლექტიური აზრი, იგი მკაფიოდ განსაზღვრავს პარტიულ პოზიციას ყველა წამოჭრილ პრობლემაზე და არა მგონია, ახლა საჭირო იყოს დაწვრილებით შევეხო მათ.

მინდა მხოლოდ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საოლქო პარტიული ორგანიზაცია, ავტონომიური რესპუბლიკის ყველა პარტიული კომიტეტი მტკიცედ გარდაქმნიან თავიანთ მუშაობას, იღვწიან პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური ნორმებისა და პრინციპების განუხრელი დაცვისათვის, მეტ პრინციპულობას იჩენენ ჯერ კიდევ არსებული ნეგატიური მოვლენებისა და მეშჩანური ობივატელური ფსიქოლოგიის რეციდივების აღმოფხვრის საქმეში.

დღეს მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო ის, რაც გაგრის რაიონული პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე ვთქვი. ავტონომიურ რესპუბლიკაში ყველას უნდა ესმოდეს, რომ რაც უფრო წარმატებით განხორციელდება აფხაზეთის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით დასახული ყველა ღონისძიება, მით უფრო გაიზრდება მისი ეკონომიკური პოტენციალი, მით უფრო ამაღლდება ხალხის კულტურა, მისი მოსახლე ყველა ეროვნების მშრომელთა ცხოვრების დონე. პარტიისა და მთავრობას გადაწყვეტილებები, ჩვენი გადაწყვეტილებები ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ თანაბრად ითვალისწინებს ყველა ერისა და ეროვნების ადამიანთა — აფხაზთა, ქართველთა, რუსთა, სომეხთა, ბერძენთა, ესტონელთა, ებრაელთა და სხვათა ინტერესებს. მინდა გავიმეორო: დაე, მთელი მოსახლეობის, საბჭოთა აფხაზეთში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლების გარჯა მოხმარდეს ამ პროგრამის უცილობელ შესრულებას. ეს, ამხანაგებო, ჩვენი საერთო პატრიოტული, ინტერნაციონალური, პარტიული, სახელმწიფო მოვალეობაა.

პატრიოტიზმი, ინტერნაციონალიზმი, პარტიულობა! ეს ცნებები ჩვენში განუყრელია. ჩვენ გვმართებს კიდევ უფრო თანამიმდევრულად და უფრო მტკიცედ განვავითაროთ აფხაზეთის საოლქო პარტორგანიზაციის მდიდარი ინტერნაციონალისტური ტრადიციები. მუდამ უნდა გვახსოვდეს, ცხადად უნდა გვქონდეს შეგნებული, რომ სწორედ ინტერნაციონალისტები არიან თავიანთი ერის საუკეთესო პატრიოტები. ინტერნაციონალიზმი ხომ ყველაზე უკეთ ავლენს ნებისმიერი ხალხის უდიდეს შემოქმედებითს ძალებსა და შესაძლებლობებს. სწორედ იგი— ინტერნაციონალიზმია თითოეული ერის ჭეშმარიტი აყვავების თავიდათავი.

რამდენიმე დღეში, ამხანაგებო, ჩვენ შევიკრიბებით შესანიშნავ, ნათელ დღესასწაულზე — საბჭოთა საქართველოსა და მისი კომუნისტური პარტიის სამოცი წლის იუბილეზე. მე წილად მხვდა დიდი პატივი საქართველოს სსრ ყველა მშრომელის სახელით, თქვენი სახელით, რესპუბლიკის ყველა კომუნისტის სახელით მოგეწვია ამ ზეიმობაზე პარტიის XXVI ყრილობის დელეგატები და, რა თქმა უნდა, პირველი დელეგატი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

მე არ მეგულება ჩვენში ისეთი ოჯახი, სულით და გულით, ფართოდ რომ არ გაუღოს კარი ჩვენს ძვირფას სტუმრებს.

დაე, შემოდგას ფეხი ჩვენს ოჯახში რუსეთმა, დაე, შემოდგას ფეხი ჩვენს ოჯახში ყველა, მოძმე რესპუბლიკამ! დაე, შემოდგას ფეხი ჩვენს ოჯახში მთელმა შესანიშნავმა საბჭოეთმა, ლენინისა და კომუნისტების პარტიის დიადმა პირმშომ — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა. ამ დღეს ფართოდ გვექნება გაღებული ჩვენი ოჯახის კარი, ფართოდ გვექნება გახსნილი გული, ყველა მოძმე ხალხისადმი უღრმესი მადლიერების გრძნობით აღსავსე გული!

ჩვენ ერთხელ ვთქვით, რომ ყველა ჩვენი საქმე, ყველა ჩვენი გამარჯვება შეიძლება შევადაროთ იმ შესანიშნავი ნაგებობის მშენებლობას, რომელსაც სახელად ხალხთა მეგობრობა და ძმობა ჰქვია. ჩვენ ვთქვით, რომ კომუნისტთა ახლანდელ თაობას სწადია ააშენოს ყველა ხალხის მეგობრობისა და ძმობის ეს სამარადისო შენობა. ეს არის ჩვენი წმიდათაწმიდა მოვალეობა, ამოცანა, რომელსაც გვაკისრებს ისტორია, ჩვენი ეპოქა.

ყოველი ადამიანი თავის შემდეგ რაღაც მემკვიდრეობას ტოვებს. დაე, ჩვენს შვილებს სამკვიდროდ დარჩეთ ეს ყველაზე ძვირფასი, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე ფასეული რამ — ყველა ხალხის მეგობრობისა და ძმობის სახლი.

მინდა, განსაკუთრებული ძალით ვთქვა ეს სიტყვები სწორედ დღეს, როცა საბჭოთა აფხაზეთს თავისი მეშვიდე ათწლეული დაუდგა. ადამიანისათვის ეს სიჭარმაგის ხანაა. თქვენი მხარისათვის — თქვენ კი, კარგად ვიცი, თქვენი საზომი გაქვთ. ბევრს აქ სამოცდაათი წლის შვილიშვილები ჰყავს — აფხაზეთისათვის ეს, კაცმა რომ თქვას, მოწიფულობის ხანაა, მერმისისაკენ დაუოკებელი სწრაფვის ხანაა, ის ხანა, როცა რეალობად იქცევა ყველაზე თამამი ოცნებანი და ყველაზე შემართებული გეგმები. წინ საბჭოთა აფხაზეთს შესანიშნავი მომავალი აქვს. ამის თავდები არიან მისი შესანიშნავი მშრომელები, ამის საწინდარია ჩვენი ურღვევი ძმობა და ერთიანობა.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან იუბილარს — აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს!

გაუმარჯოს, საბჭოთა ხალხების დიდსა და ურღვევ ლენინურ მეგობრობას!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით!

მოხსენება აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 60 წლისთავის შესახებ გააკეთა **ბ. ვ. ადლეიბამ.**

— დღეს აფხაზი ხალხი, ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მშრომელი, — თქვა მან, — სამართლიანი სიამაყით და ღრმა კმაყოფილებით აჯამებენ აფხაზეთის ყოველმხრივი განვითარების ისტორიულ შედეგებს, რაც შესაძლებელი გახდა მხოლოდ უკვდავი ლენინური იდეების ზემოქმედებით, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, საბჭოეთის ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში.

საბჭოთა აფხაზეთის მთელი ისტორია, რომელიც სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროგრესის გზას დაადგა დიდი ოქტომბრის შემდეგ, გასული 60 წლის მანძილზე მის მიერ გამოვლილი ისტორიული გზის მთავარი ნიშანსვეტები დამახასიათებელია არა მარტო ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკისათვის, არამედ ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ეროვნულ-სახელმწიფო ფორმირებისთვისაც, განსაკუთრებით იმ რეგიონებისათვის, სადაც პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებამდე ეროვნული და სოციალური ჩაგვრის სასტიკ პოლიტიკას ახორციელებდნენ როგორც ცარიზმი, ისე ადგილობრივი თავადები და მემამულეები.

ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა შთამაგონებელი მიღწევები, რომლებმაც შეძლეს კომუნისტთა ხელმძღვანელობით დაეძლიათ საუკუნოვანი სილატაკე და უწიგნურობა და მიეღწიათ სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის მწვერვალებისათვის, დიდად არის შეფასებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმებაში.

დღეს წინა თაობების მძიმე, უღიმღამო ცხოვრებას არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობა, არამედ შუახნის ადამიანებიც მხოლოდ წიგნებითა და კინოფილმებით, პარტიისა და რევოლუციის ვეტერანების მოგონებებით იცნობენ. მაგრამ გვახსოვს, რომ ჩვენ ნათელ, სასიხარულო დღეს იოლად როდი მივაღწიეთ, რომ ახალი ეპოქის — თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების მშენებლობის ეპოქის დადგომას დასჭირდა ბოლშევიკთა პარტიის ტიტანური მეცადინეობა, ლენინის ერთგულ თანამიმდევართა ურყევი ნებისყოფა, აფხაზი ხალხის, აფხაზეთის ყველა მშრომელის თავდადებული ბრძოლა.

როცა ვიხსენებთ ჩვენს მხარეში ნამდვილად სახალხო ხელისუფლების დამყარების ძნელ, მაგრამ შემართებით აღსავსე წლებს, არ გვავიწყდება, რომ აფხაზეთში რევოლუციური მოძრაობის მგზნებარე ხელმძღვანელები, რომელთა ბრძოლასაც ყოველმხრივ ეხმარებოდნენ ბოლშევიკები, რუსეთისა და საქართველოს მთელი რევოლუციური პროლეტარიატი, მტკიცედ აცხადებდნენ: აფხაზეთს მხოლოდ ერთი გზა აქვს — თავისი კლასობრივი ძმების, ყველა ერისა და ეროვნების ჩაგრულთა მხარდამხარ იარონ საბჭოთა ხელისუფლებისაკენ, კომუნიზმისაკენ!

ეს ურყევი რწმენა ჩვენმა ხალხმა განახორციელა შესანიშნავი წარმატებებით სოციალისტური მშენებლობის გზაზე, რას შეედრება ჩვენი ინტერნაციონალური ერთიანობის, საბჭოთა ხალხის მეგობრობისა და ძმობის სიმტკიცე და ურყევობა? შეიძლება ვთქვათ მხოლოდ ერთი რამ — არ არის იმაზე მტკიცე შენადნობი, არ არის იმაზე ძლიერი გრძნობა, ვიდრე ის, რომელიც ანათესავებს საბჭოთა კავშირის ხალხებს. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა სიყვარული და პატივისცემა, რითაც აფხაზი ხალხი ეკიდება საბჭოეთის ყველა მოძმე ხალხს და უპირველეს ყოვლისა დიდ რუს ხალხს და ისტორიული განვითარებით მისთვის განსაკუთრებით ახლობელ ქართველ ხალხს.

მივიღეთ რა მოძმე აჭარისა და სამხრეთ ოსეთისაგან საიუბილეო ზეიმების ესტაფეტა, რომელთაგან თითოეული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 60 წლისთავის დღესასწაულის დაუვიწყარი ეტაპია, ჩვენ კიდევ ერთხელ სულითა და გულით მივესალმებით ჩვენს ძვირფას სტუმრებს, რომელთა ჩამოსვლა ჩვენი ხალხების სიყვარულისა და მეგობრობის, მათი ურღვევი ძმობის ნათელი სიმბოლო გახდა.

საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ, რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის 60 წლისთავი აღინიშნება ღირსსახსოვარ დღეებში, როცა მთელი ქვეყანა ცხოვრობს და შრომობს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენების დებულებათა და დასკვნათა წარუშლელი ზემოქმედებით.

სკკპ XXVI ყრილობაზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ თანამიმდევრულად სრულდება დადგენილება აფხაზეთის ასს რესპუბლიკის შესახებ. ძნელია გადმოგცეთ ის გრძნობები, რომლებიც დაეუფლა ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციისაგან წარგზავნილ ყველა დელეგატს, როცა პარტიის ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან მოვისმინეთ ეს სიტყვები. ისეთი შთაბეჭდილება გვქონდა, რომ ლეონიდ ილიას ძემ გულთბილად და გულითადად მიმართა აფხაზეთის ყველა კომუნისტს, ყველა მშრომელს, მიულოცა მათ კარგი მუშაობა და უსურვა ახალი წარმატებანი აფხაზეთის ასსრ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრანდიოზული ამოცანების შესრულებაში.

სწორედ ამიტომაც ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები აღვიქვით არა მარტო როგორც ჩვენი რესპუბლიკისადმი მუდმივი ყურადღების ახალი დადასტურება, არამედ როგორც დიდი ავანსიც საოლქო პარტიული ორგანიზაციისადმი, აფხაზეთის ყველა მშრომელისადმი, რადგან ახლა ჩვენ უნდა ვიმუშაოთ უფრო მეტი, უფრო დაძაბულად, რათა გავამართლოთ ეს მაღალი შეფასება.

ნება მიბოძეთ დამსწრეთა სახელით, აფხაზეთის მშრომელთა მთელი მრავალეროვანი ოჯახის სახელით ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, პირადად ძვირფას ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს ვუთხრა მხურვალე სიყვარულის სიტყვები და მადლობა მოვახსენო ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის თითოეული ერის, თითოეული ეროვნების ყოველმხრივ განვითარებაზე დაუცხრომელი ზრუნვისათვის.

სოციალისტური მშენებლობის მიღწევებისაკენ აფხაზეთის მშრომელთა რთულ, ხშირად დიდ სიძნელეებთან დაკავშირებულ გზაზე არის განსაკუთრებით მკაფიო ნიშანსვეტები, რომლებმაც ნათლად წარმოაჩინეს რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების ჩამოყალიბების, განმტკიცებისა და განვითარების ისტორია.

როგორც მოგეხსენებათ, ცარიზმისა და მენშევიკებისაგან საბჭოთა აფხაზეთს მძიმე მემკვიდრეობა ერგო. ნ. ა. ლაკობამ ასე დაახასიათა მაშინდელი მდგომარეობა: „არც ერთი საწარმო. უგზოობა, შიმშილი ქალაქად და სოფლად. გაჩანაგებული კურორტები, დახურული სკოლები. მთლიანი უწიგნურობა, სიბნელე, ექიმბაშობა, ცრუმორწმუნეობა — აი რა მიიღო საბჭოთა ხელისუფლებამ აფხაზეთში 1921 წლის გაზაფხულზე".

აფხაზეთის კომუნისტებისათვის, ისევე როგორც მთელი კავკასიის კომუნისტებისათვის გზის მანათობელი ვარსკვლავი გახდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის 1921 წლის 14 აპრილის წერილი. წერილში დასახული იყო მრავალეროვანი კავკასიის გადაქცევა „ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშად". დღეს ამაყად ვამბობთ, რომ ამ და სხვა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტას მოჰყვა ახალი ცხოვრების მშენებლობის ნამდვილი ტრიუმფი.

როცა შეეხო აფხაზეთის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის წარმატებებს ომისშემდგომ წლებში, მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმხანად საფუძველი ჩაეყარა ავტონომიური რესპუბლიკის ინდუსტრიულ და სოციალურ განვითარებას.

ჩვენს ქვეყანაზე ფაშისტური გერმანიის ვერაგულმა თავდასხმამ შეწყვიტა საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი ცხოვრება, და აფხაზეთის მშრომელები სოციალისტური ერების ერთიან მწყობრში აღდგნენ სამშობლოს დასაცავად, მტრის გასანადგურებლად.

ჩვენ და ჩვენს შთამომავლებს არასოდეს არ დაავიწყდებათ იმ მრისხანე დროის ამბები. ჩვენი გამარჯვება კომუნისტური პარტიის უდიდესი ორგანიზატორული საქმიანობის, საბჭოთა ხალხის ერთიანობის, ქვეყნისათვის შექმნილი უდიდესი საფრთხის წინაშე მათი მონოლითური შეკავშირების შედეგი იყო.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ აფხაზეთის, ისევე როგორც მთელი ქვეყნის, მშრომელებმა დაიწყეს სახალხო მეურნეობის აღდგენა, შემდეგ კი განვითარება. მათ თვალსაჩინო შედეგებს მიაღწიეს მრეწველობაში, მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში, კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

საბჭოთა ხალხის გზაზე დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდა სკკპ XXV ყრილობა, რომელმაც განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა, საწარმოო ძალების გიგანტური ზრდა.

ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრებაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი გარდაქმნები, საბჭოეთისა და მასში შემავალი მოძმე მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მშრომელთა მსოფლიო-ისტორიული მონაპოვრები აისახა სსრ კავშირის, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ ახალ კონსტიტუციათა საყოველთაო-სახალხო განხილვისა და მიღების დროს, რომლებმაც კანონმდებლობის წესით დაამკვიდრეს სოციალისტური დემოკრატიის განვითარების, სახელმწიფო და ეკონომიკური მშენებლობის შედეგები, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენება.

კომუნისტური პარტიის ბრძნული ეროვნული პოლიტიკის სასიცოცხლო ძალის მკაფიო მაგალითია სამგზის ორდენოსანი აფხაზეთის სამრეწველო წარმოების არნახული ზრდა, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობა მეათე ხუთწლედის წლებში.

თვალს ვავლებთ რა საბჭოთა აფხაზეთის მიერ 60 წლის მანძილზე განვლილ გზას, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იმ დადგენილებათა როლი და მნიშვნელობა, რომლებიც აფხაზეთის ასს რესპუბლიკას ეხება. ჩვენთვის ამ ნამდვილად ისტორიულმა დოკუმენტებმა დასაბამი მისცა მეათე და მეთერთმეტე ხუთწლედებში ავტონომიური რესპუბლიკის წინაშე დასახული მორიგი სახალხო-სამეურნეო და კულტურული ამოცანების გადაწყვეტის სწრაფ ტემპს. მათი რეალიზაცია შესაძლებლობას მოგვცემს მნიშვნელოვნად განვაახლოთ და ვამრავლოთ ჩვენი საწარმოო ფონდები, უდიდესი გაქანება მივანიჭოთ კაპიტალურ მშენებლობას, მივაღწიოთ კოლოსალურ ძვრებს კულტურის, მეცნიერების, განათლების აღმავლობაში, ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში.

ამ გეგმებისა და მათი მიღების შემდეგ მიღწეული წარმატებების გრანდიოზულობა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით შთაგონებულ ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებს ანიჭებს ახალ ძალებს ყოველდღიური, დაძაბული და ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ახლის ყლორტები განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს სწორედ ახლა, როცა ბევრი დიდმნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობა, ასე ვთქვათ, გამოვიდა ნულოვანი ციკლიდან, როცა ცისკენ მიისწრაფიან ახალმშენებლობათა სართულები, როცა ჩვენი ქალაქებისა და მრავალი სოფლის პეიზაჟების ჩვეულ დეტალად იქცა კოშკურა ამწეების ისრები.

უპირატესი ტემპით ვითარდება ხელსაწყოთმშენებლობა, ენერგეტიკა, აგრეთვე ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება.

ინდუსტრიულ [illegible] სოფლის მეურნეობა, მათ შორის რძის, ხორცის, კვერცხის, ბოსტნეულის წარმოება. იზრდება ავტონომიური რესპუბლიკის ხვედრითი წილი ჩაის, ციტრუსების, ხილისა და ყურძნის წარმოებაში.

ამ დღეებში აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. შრომითმა კოლექტივებმა გადასინჯეს თავიანთი სოციალისტური ვალდებულებანი, დასახეს ახალი, უფრო მაღალი მიჯნები მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ეს სახელოვანი საქმეები მათ შთააგონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალმა წითელმა დროშამ, რომლითაც აფხაზეთი დაჯილდოვდა მეათე ხუთწლედში მიღწეული წარმატებებისათვის.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ მთელი ჩვენი მიღწევების შთამაგონებელი და ორგანიზატორები არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ქვეყნისა და რესპუბლიკის მთავრობები, რომლებიც უდიდეს მრავალმხრივ ზრუნვას იჩენენ ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის აყვავებისათვის. მთელი სულითა და გულით მადლობას ვუხდით მათ აფხაზი ხალხისადმი, მრავალეროვანი აფხაზეთის ყველა მშრომელისადმი მამობრივი დამოკიდებულებისათვის. ჩვენ ფრიად ვაფასებთ ესოდენ დიდ ყურადღებას, კარგად ვიცით, რომ ფართოდ ვსარგებლობთ ლენინური ეროვნული პოლიტიკის ნაყოფით.

ყოველივე, რასაც მივაღწიეთ და რითაც დღეს ვამაყობთ, ჩვენი ერთობლივი შრომის შედეგი, საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობისა და ძმური ურთიერთდახმარების შედეგია, საბჭოთა ხალხისა, რომლის ერთიან მწყობრში უკვე ექვსი ათწლეულია მივაბიჯებთ ლენინური გზით კომუნიზმის კამკამა მწვერვალებისაკენ.

დასასრულ მომხსენებელმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვა, რომ აფხაზეთის მშრომელები კვლავაც თანამიმდევრულად და მტკიცედ ივლიან დიდი ლენინის მიერ დასახული გზით, რომლითაც მათ მიუძღვით სკკპ ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო და მისი მეთაური — ლენინის უკვდავი საქმის ერთგული განმგრძობი, თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

საზეიმო სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი გ. ა. ძიძარია, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, პარტიისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანი ი. მ. შჩუკინი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი, პოეტი ა. ნ. ჯონუა, სკკპ ყარაჩაი-ჩერქეზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ა. ინჟიევსკი, გალის რაიონის აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე, ქალთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ნ. ხ. ხასაია, სკკპ ყაბარდო-ბალყარეთის საოლქო კომიტეტის მდივანი მ. ი. დოქსონოვი, ადიღეს სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ს. ტლეხასი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი გ. ს. ტიტოვი, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის სკკპ XXIV ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხ. კ. აიბა, რომლებმაც სახელოვანი იუბილე მიულოცეს საზეიმო სხდომის მონაწილეებსა და მათი სახით მრავალეროვანი აფხაზეთის ყველა მშრომელს.

სხდომის მონაწილენი ტაშით შეხვდნენ ავტონომიური რესპუბლიკის ახალგაზრდობის მისალმებას.

დიდი შთაგონებით ტაშის გრიალში დამსწრენი იღებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი მისასალმებელი წერილების ტექსტებს.

საზეიმო სხდომა დახურულად ცხადდება. სხდომის მონაწილენი ფეხზე ამდგარი მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს".

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ხელოვნების ოსტატები და თვითმოქმედი კოლექტივები.

●

გვიან საღამომდე გრძელდებოდა სახალხო სეირნობა, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელები, საიუბილეო ზეიმზე ჩამოსული სტუმრები. კონცერტები გამართეს დღეგრძელთა ეთნოგრაფიულმა ანსამბლმა „ნართაამ", ახალგაზრდულმა ანსამბლმა „შარატინმა", საესტრადო ვოკალურ-საინსტრუმენტო ორკესტრმა, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა, ქალთა თვითმოქმედმა სასულე ორკესტრმა...

სტუმრები იყვნენ ახლახან გახსნილ ბავშვთა ქალაქ „აცანგუარაში". (საქინფორმი).

## რქიტექტორთა ყრილობა

[illegible]

## მშვიდობისა და თანამშრომლობის პოლიტიკა

[illegible]

## საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში

[illegible]



# ამოცანები განსაზღვრულია

სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე კულტურის მუშაკთა საარსებო ამოცანებს მიეძღვნა რესპუბლიკური აქტივის კრება, რომელიც რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა.

საქართველოში შექმნილი სპექტაკლები, კინოფილმები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები და სხვა ნაწარმოებები, აღინიშნა აქტივის კრებაზე, პოპულარული გახდა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, მაგრამ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი მასობრივი კულტურის განვითარებისათვის. აქტივის კრებაზე გამოვიდნენ აფხაზეთის კულტურის მინისტრი ა. არღუნი, კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის მთავარი რეჟისორი თ. ჩხეიძე, საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის რექტორი ე. გუგუშვილი, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვა-გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსი ი. ციციშვილი და სხვები. მათ თავიანთი გამოსვლები მიუძღვნეს იმ ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მშრომელთა აღზრდისა და იდეური წრთობისათვის.

აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ენუქიძემ.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია.

# საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნომ საყრილობო სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის ჩვენებისადმი მიძღვნილი მასალების ფართოდ გაშუქებისათვის საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრემიები და ფულადი ჯილდოები მიანიჭა საქართველოს ტელევიზიის სახალხო მეურნეობის მთავარ რედაქციას, რაიონული გაზეთების: აბაშის — „განახლებული აბაშის", გეგეჭკორის — „შრომის დროშის", ქარელის — „ოქტომბრის გზით", თელავის — „ალაზნის განთიადის" სარედაქციო კოლეგიებს.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სიგელებით დაჯილდოვდნენ მახარაძის რაიონული გაზეთის „ლენინის დროშის", ზესტაფონის — „ლენინელის", გურჯაანის — „ლენინის გზის", დუშეთის — „კომუნიზმის გზის", ქობულეთის — „ლენინელის", მცხეთის — „მცხეთის", თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთის „ჩვენი საყვირის", საქალაქო გაზეთების „ტყიბულის" (ქ. ტყიბული) და „ახალი კოლხეთის" (ქ. ფოთი) სარედაქციო კოლეგიები.

აღინიშნა წყალტუბოს საქალაქო გაზეთ „დროშის", ხელვაჩაურის რაიონული გაზეთი „ოქტომბრის გზის", ლენინგორის „ლენინელის", მრავალტირაჟიანი გაზეთების: რუსთავის ქიმიური ქარხნის — „ქიმიკოსის", საწარმოო გაერთიანება „სამთოქიმმრეწვის" — „სამთოქიმიისა" და საქართველოს პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის — „საბჭოთა პედაგოგის" სარედაქციო კოლექტივების კარგი მუშაობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს პრემიების

# ლაურეატები

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ შეაჯამა უმაღლესი სასწავლებლებისათვის მშობლიურ ენაზე შექმნილი სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების, რუსულიდან მშობლიურ ენაზე საუკეთესოდ თარგმნილი სახელმძღვანელოების კონკურსის, აგრეთვე რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში შესრულებული აქტუალური სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების კონკურსის შედეგები.

კოლეგიის გადაწყვეტილებით **პირველი პრემია (1500 მან) მიეკუთვნათ:**

მ. ი. ჯიბლაძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტს; ვ. მ. კოშკინს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, ლაბორატორიის გამგეს; ვ. ა. კოშელევს, სექტორის უფროსს; ზ. გ. ესიაშვილს; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს; ვ. ლ. ჩიხლაძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტს; ლ. პ. გალჩინეცკის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს, უფროს მეცნიერ თანამშრომელს — სამეცნიერო შრომისათვის „ლაზერი ბირთვული დატუმბვით".

გ. ა. ტალიაშვილს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორს; ვ. ს. შადურს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს — სახელმძღვანელოსათვის „რუსული ლიტერატურის ისტორია (უძველესი დროიდან XX საუკუნემდე)".

**მეორე პრემია (800 მან) მიეკუთვნათ:**

გ. შ. კილურაძეს (სიკვდილის შემდეგ), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს — სამეცნიერო შრომისათვის „ბურჟუაზიული რევოლუცია XVII საუკუნის ინგლისში (1603-1642)", წიგნი I.

ს. მ. ჯორბენაძეს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს — სამეცნიერო შრომისათვის „ქ. დ. უშინსკი — გამოჩენილი რუსი იურისტი".

ლ. ს. ჭანტურიშვილს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს — დამხმარე სახელმძღვანელოსათვის „ველის თეორიის ელემენტები გამოყენებითს ფიზიკაში".

პ. ი. ჯანელიძეს, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორს — დამხმარე სახელმძღვანელოსათვის „მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდა".

**მესამე პრემია (500 მან) მიეკუთვნათ:**

ლ. ლ. ჩიქავას, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს; ი. მ. ქვაჩახიას, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტს; გ. დ. ჭანუყვაძეს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს; წამყვან ავტორებს — სამეცნიერო შრომისათვის „განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკური თეორიის აქტუალური საკითხები", ნაწილი I.

ჯ. კ. იოსელიანს, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატს, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს — სამეცნიერო შრომისათვის „სერგო ამაღლობელი".

ნ. მ. ქორთუას, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორს — სამეცნიერო შრომისათვის „ამიერკავკასია 1826-1828 წლების რუსეთ-ირანის ომში".

ვ. თ. რამიშვილს, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორს — სამეცნიერო შრომისათვის „იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა".

ე. ნ. არჯევანიძეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორს — სამეცნიერო შრომისათვის „ქართული ფოლკლორის შესწავლის საკითხები საქართველოს რევოლუციამდე რუსულ პერიოდიკაში".

ა. ა. ღლონტს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორს — დამხმარე სახელმძღვანელოსათვის „წინადადებები ქართულ ენაში".

ა. ე. ჩაჩიბაიას, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორს — დამხმარე სახელმძღვანელოსათვის „ქართული საბავშვო ლიტერატურა".

ს. ბ. იაკობაშვილს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს — სახელმძღვანელოსათვის „შედუღების პროცესების თეორია".

(საქინფორმი).

# დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთან დაკავშირებით აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მიხეილ ისმაილის ძე **ხოზრევანიძე** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**პარტიულ** და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და დაბადების სამოცდაათი წლისთან დაკავშირებით საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ერმალოზ მინას ძე **ჯაფარიძე** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**პარტიულ** და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთან დაკავშირებით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე — საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ამხ. პავლე ვლადიმერის ძე **ხაბალაშვილი** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ფაქტები ▫ მოვლენები ▫ კომენტარი ▫ გამოხმაურება

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

**საერთაშორისო ცხოვრების დღის ზღურბლზე**

15 მაისი

სსრ კავშირი — კონგო

# მრავალმხრივი თანამშრომლობა

**ბრაზავილი.** თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპების საფუძველზე მტკიცედ ვითარდება სსრ კავშირისა და კონგოს სახალხო რესპუბლიკის მრავალმხრივი თანამშრომლობა, ნათქვამია კონგოს საინფორმაციო სააგენტოს კომენტარში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და კონგოს შრომის პარტიის მჭიდრო ურთიერთობა, აღნიშნავს სააგენტო, გამოხატავს მარქსიზმ-ლენინიზმისადმი საერთო ერთგულებას, მისწრაფებას აფრიკისა და მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალების განმტკიცებისადმი, ეს ურთიერთობა შესაძლებლობას გვაძლევს ვიხელმძღვანელოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მდიდარი გამოცდილებით, მისი პრაქტიკული საქმიანობით პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ დარგებში.

ორი პარტიის მტკიცე კავშირურთიერთობის მორიგი დადასტურება გახდა მაისის დამდეგს ბრაზავილში გამართული კოლოკვიუმი თემაზე „ლენინური მოძღვრება და განთავისუფლებული ხალხების ბრძოლა პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის", რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა და კონგოელი მეცნიერები და პარტიული მუშაკები. ამ მეცნიერულმა ფორუმმა, ხაზგასმულია კომენტარში, დაადასტურა, რომ ერთნაირი შეხედულებანი აქვთ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და კონგოს შრომის პარტიას სტრატეგიისა და ტაქტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე სოციალიზმისათვის ხალხთა ბრძოლაში.

ჩვენი პარტიისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძმური დახმარების მკაფიო მაგალითი, აღნიშნულია კომენტარში, გახდა კონგოს შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის უმაღლესი პარტიული სკოლის კომპლექსის მშენებლობა საბჭოთა სპეციალისტების ხელშეწყობით.

წარმატებით ვითარდება კონგოს პროფკავშირული კონფედერაციისა და საკავშირო პროფსაბჭოს თანამშრომლობა. 1978 წელს დადებული შეთანხმების შესაბამისად, ორ პროფკავშირულ გაერთიანებას შორის შეიქმნა შერეული კომისია, რომელიც ყოველწლიურად იკრიბება მოსკოვსა და ბრაზავილში დასახული პროგრამის შესრულების შედეგების შესაჯამებლად.

კონკრეტული საქმეებით ამტკიცებენ მეგობრობას სხვა მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც. ხორციელდება ფართო კულტურული გაცვლა, რომელშიც დიდი წვლილი შეაქვთ ორი ქვეყნის შემოქმედებითს კავშირებს.

# განიხილეს ვითარება

## თათბირი პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

**ვარშავა.** აქ გაიმართა პოლონეთის საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების პირველი მდივნების თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. კანია, პოლიტბიუროს წევრები კ. ბარჩიკოვსკი, ტ. გრაბსკი, ს. ოლშოვსკი.

ტ. გრაბსკიმ შესავალ სიტყვაში, კერძოდ, განაცხადა: ჩვენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის IX ყრილობას ვეგებებით ღრმა რწმენით, რომ შევიტანთ ცვლილებებს პროგრამასა და წესდებაში, რომლებიც კიდევ უფრო განამტკიცებს პარტიის მარქსისტულ-ლენინურ ხასიათს.

მან ხაზი გაუსვა საზოგადოებაში პარტიის ხელმძღვანელ როლს, ილაპარაკა ყრილობის მოსამზადებლად პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის მნიშვნელობაზე. პარტიაში არჩევნების მიმდინარეობა, თქვა ორატორმა, მოწმობს, რომ იმარჯვებს პირველადი პარტორგანიზაციების წევრთა პასუხისმგებლობის გრძნობა. თუმცა შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში არჩეულთა შორის ცოტანი არიან მუშები. შემაშფოთებელია აგრეთვე პარტიული ბილეთების ჩაბარების ფაქტები.

პოლონეთის საკითხი, განაცხადა შემდეგ ტ. გრაბსკიმ, არ შეიძლება იყოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტური ძალების ინტრიგის საგანი. ვისაც სურს ამას ხელი შეუწყოს, ის ობიექტურად მოქმედებს პოლონელი ხალხის საარსებო ინტერესების საზიანოდ. მთელი პარტიის, ყველა მისი წევრის ამოცანაა წინააღუდგეს ასეთ ტენდენციებს.

ჩვენს ქვეყანაში მოქმედებენ ჩვენი სოციალისტური პროგრამისათვის უცხო კლასობრივი ინტერესებით წარმოშობილი, ან მტრული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ მყოფი სხვადასხვა ძალები. პროფგაერთიანება „სოლიდარობის" მიერ განხორციელებული ფართო სააგიტაციო აქციები, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის ძალების წინააღმდეგ არის მიმართული, ასუსტებს ჩვენს სახელმწიფოს, საფრთხეს უქმნის მის მოქალაქეებს.

ტ. გრაბსკი დაწვრილებით შეჩერდა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ ეკონომიკური დახმარების მნიშვნელობას, რომელსაც ძნელბედობის ჟამს პოლონეთს უწევენ მოძმე სოციალისტური ქვეყნები, და უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირი. ახლანდელი კრიზისიდან თავის დაღწევის და მომავალში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი პირობაა, თქვა ორატორმა, სახალხო მეურნეობის ფუნქციონირების სისტემის რეფორმის განხორციელება.

თათბირზე გამოვიდა ს. კანია. გააანალიზა რა ქვეყნის საშინაო ვითარება, მან განაცხადა: პოლონეთში ვითარდება პროცესი, რომელიც არსებითად საფრთხეს უქმნის სოციალიზმის მონაპოვრებს. ეს კარგად უნდა გავითვალისწინოთ. პოლონეთში ყოველთვის იყვნენ სახალხო ხელისუფლების მოწინააღმდეგენი, რომლებიც გააქტიურდნენ განსაკუთრებით ძნელ მომენტში მხოლოდ იმისათვის, რომ სახელი გაუტეხონ პარტიას, შეასუსტონ ხელისუფლების და მართლწესრიგის დაცვის ორგანოები. ამ საკითხებს რომ განვიხილავთ, უნდა გავითვალისწინოთ ყოველივე ის, რაც აუცილებელია ჩვენდამი სხვაქვეყნელი პარტნიორების ნდობის, ჩვენდამი, როგორც მოკავშირისადმი, ნდობის აღსადგენად.

საჭიროა პარტიამ სწრაფად და წარმატებით დაძლიოს პოლიტიკური საშუალებებით ყველა სიძნელენი. ეს რეალური იქნება, თუ პარტიის შეკავშირების განმტკიცების პროცესი განვითარდება მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე, ნაცადი ლენინური სტრუქტურის ფარგლებში, თუ ჩვენი პარტია მოქმედების პარტია იქნება.

# პოლონეთის მთავრობის პრეზიდიუმის სხდომა

**ვარშავა.** პოლონეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. იარუზელსკის თავმჯდომარეობით გაიმართა პოლონეთის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა პოლონეთში წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის საკითხებზე.

თათბირზე გამოსულმა პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა მ. მილევსკიმ განაცხადა, რომ ბოლო დროს საგრძნობლად გაიზარდა დამნაშავეობა. მარტო გასულ ოთხ თვეში, თქვა მინისტრმა, სისხლის სამართლის დანაშაულობათა რიცხვი 26 პროცენტით გაიზარდა, გაძარცვის მიზნით თავდასხმები — 32 და ბინის გაქურდვა — 60 პროცენტით. ამავე დროს ბევრ საწარმოში ეცემა დისციპლინა, სულ უფრო ფართოდ ვრცელდება სპეკულაცია და მუქთახორობა.

სხდომაზე გამოსულმა ვ. იარუზელსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გადამწყვეტი ზომების მიღება დამნაშავეობის და მართლწესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

მთავრობის პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ კანონებისა და წესრიგის დაცვისათვის პასუხისმგებელმა ორგანოებმა სასწრაფოდ შეიმუშაონ ღონისძიებათა ერთობლივი კონკრეტული გეგმა.

მოკლედ

## ტელეტაიპის ლენტიდან

● **ლონდონი**

ინგლისის სახელმწიფო მოსამსახურეთა უდიდესი პროფკავშირის-სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოსამსახურეთა ასოციაციის ქალაქ ბრაიტონში მიმდინარე ყოველწლიური კონფერენციის დელეგატებმა ხმის დიდი უმრავლესობით მიიღეს გადაწყვეტილება კოლექტიურად შეუერთდნენ ინგლისის მასობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციას — ბირთვული განიარაღებისათვის მოძრაობას.

● **დამასკო**

სანის სააგენტომ გადასცა ოფიციალური სამხედრო წარმომადგენლის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ისრაელის ჯაშუშმა თვითმფრინავმა ბექაას რაიონში გადაუფრინა სირიის იმ ჯარების პოზიციებს, რომლებიც ლიბანში მშვიდობის დამცველი არაბეთის ქვეყნების ძალების შემადგენლობაში შედიან. სირიის არაბთა რესპუბლიკის ჯარებმა ჩამოაგდეს იგი სოფელ ასულთანის მახლობლად ბექაას რაიონის სამხრეთ ნაწილში.

● **დელი**

პაკისტანი თავს უყრის ჯარის ნაწილებს ინდოეთის მოსაზღვრე კაჩის რაიონში, განაცხადა განდინაგარში პრესკონფერენციაზე გუჯარათის შტატის მთავარმა მინისტრმა მ. სოლანკიმ. მან აღნიშნა, რომ მთავრობას მოეპოვება ცნობები ამ რაიონში სამხედრო მშენებლობის გაფართოებისა და ინდოეთის საზღვრებთან პაკისტანის არმიის ახალი ნაწილების გამოყვანის შესახებ.

● **ლუანდა**

რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის რ. ბოტას ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში მორიგი იმპერიალისტური მანევრია, რომლის მიზანია არ დაუშვას ნამიბიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება. ეს აღნიშნულია სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციის (სვაპოს) აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

ეგვიპტე

# იძულებითი გადადგომა

**კაირო.** მსხვილმა ეგვიპტელმა კაპიტალისტმა და მეწარმემ ოსმან აჰმედ ოსმანმა ითხოვა პრემიერ-მინისტრის მოადგილის პოსტიდან გადადგომა. ეს თანამდებობა მას ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ეკავა. გაზეთები იუწყებიან, რომ სადათი დათანხმდა გადადგომას.

მთავრობიდან ოსმანის იძულებითი წასვლა აპრილის დამდეგს გამოცემული მისი „მემუარების" გარშემო ატეხილი სკანდალის შედეგია. ქვეყნის ცნობილმა პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწეებმა წიგნი შეაფასეს როგორც ავტორის ცდა ჩირქი მოსცხოს 1952 წლის ივლისის რევოლუციის პროგრესულ მონაპოვრებს და მასთან დაკავშირებულ აწ განსვენებული პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის სახელს, ანგარიში გაუსწოროს იმათ, ვისაც მემუარების ავტორი თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ თვლის.

შრომა და კაპიტალი




## გფრ

მეტალურგთა გამაფრთხილებელი გაფიცვების ტალღამ გადაუარა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დიდ ქალაქებს, მათმა მონაწილეებმა მტკიცედ მოსთხოვეს მეწარმეებს ხელფასის მომატება, შრომის პირობების გაუმჯობესება.

**სურათზე:** ქალაქ კასელის სამრეწველო საწარმოების მუშათა საპროტესტო მანიფესტაცია.

იუპი-საქდესის ფოტო.

# პრესკონფერენცია სსრ კავშირის ვაშინგტონის საელჩოში

**ვაშინგტონი.** სსრ კავშირის ვაშინგტონის საელჩომ გამართა პრესკონფერენცია, რომელზეც ამერიკელ და უცხოელ ჟურნალისტებს გააცნეს იმ პროვოკაციის უტყუარი ფაქტები, რომელიც 12 მაისს მოუწყვეს ამერიკის ხელისუფლებმა საბჭოთა სამგზავრო თვითმფრინავს ვაშინგტონის საერთაშორისო აეროპორტში.

კორესპონდენტებს წაუკითხეს საბჭოთა მთავრობის საპროტესტო ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი, რომელშიც მტკიცედ არის დაგმობილი ამერიკის ხელისუფალთა ბანდიტური ოპერაცია.

საელჩოს, საკონსულოს და აეროფლოტის წარმომადგენლებმა უპასუხეს კორესპონდენტთა მრავალ კითხვას, რომლებიც ცდილობდნენ გაერკვიათ, მაინც რატომ მიმართეს ამერიკის ხელისუფლებმა ასეთ უტიფარ პროვოკაციას, რომელიც საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის დარღვევაა.

იმის გამო, რომ თეთრმა სახლმა და სახელმწიფო დეპარტამენტმა გააკეთეს მთელი რიგი განცხადებები პრესისათვის, რომლებსაც სხვა არა შეიძლება ეწოდოს რა, თუ არა საზოგადოებრიობის შეცდომაში შეყვანისა და საერთაშორისო სამართლის ამ ყოვლად უხეში დარღვევის გამართლების უხეირო ცდა, საბჭოთა წარმომადგენლებმა დაწვრილებით გააცნეს შეკრებილთ, თუ რა მოხდა სინამდვილეში.

მაგალითად, თეთრი სახლი და სახელმწიფო დეპარტამენტი ამტკიცებენ, ამერიკის შეერთებული შტატების საბაჟო სამსახურმა საბჭოთა თვითმფრინავის ხელში ჩაგდების ეს უკანონო აქტი თავისი ინიციატივით ჩაიდინაო. ეს მტკიცება ფაქტებს ეწინააღმდეგება. თვითმფრინავის ხელში ჩაგდებასა და ჩხრეკაში მონაწილეობდა ფედერალური გამოძიების ბიუროს აგენტთა ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელმა უილიამ რუდმანმა საქვეყნოდ განაცხადა, ჩემი ჯგუფი „ზემოდან მიღებული ბრძანებით მოქმედებდაო", თვით სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი დ. ფიშერიც კი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ამ პროვოკაციას სახელმწიფო დეპარტამენტმა სანქცია მისცა თვითმფრინავზე თავდასხმამდე ერთი საათით ადრე. საბჭოთა საელჩოს ორი პროტესტი, რომლებიც თვითმფრინავის ხელში ჩაგდების დროს წარუდგინეს სახელმწიფო დეპარტამენტის საბჭოთა კავშირის საქმეთა დირექტორს რ. ჯერმანს და სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს ლ. იგლბერგერს, ამერიკის მხარემ არად ჩააგდო. ყოველივე ამის შემდეგ ეჭვი აღარ გვრჩება, რომ ტერორიზმის ეს აქტი ოფიციალურად იყო სანქციონირებული და განხორციელებული ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ.

# უხეში ჩარევა

## ჯაშუშური ფრენა პოლონეთის საზღვართან

**ბონი.** როცა ნატოს ქვეყნები მოითხოვენ, რომ თავი შეიკავონ „პოლონეთის საქმეებში გარედან ყოველგვარი ჩარევისაგან", არსებითად აშკარად ერევიან ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში. როგორც ბრიუსელიდან დპა-ს საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ნატოს სამხედრო დაგეგმვის კომიტეტმა დაიწყო ავაქსის სისტემის თვითმფრინავების ოპერაციათა შედეგად მიღებული ცნობების შესწავლა. „ეს თვითმფრინავები ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ნატოს გადასცა პოლონეთში კრიზისის გამწვავების დროს".

საქმე ეხება ამერიკის თვითმფრინავებს, რომლებიც სპეციალურად აღჭურვილია ელექტრონული ხელსაწყოებით პოლონეთისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ტერიტორიების საჰაერო ჯაშუშობის განხორციელებისათვის. რამდენიმე თვის განმავლობაში ამ ჯაშუში თვითმფრინავების ჯგუფი მოქმედებდა ნატოს რამშტაინის სამხედრო-საჰაერო ბაზიდან, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს. იმოწმებს რა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებს, დპა-ს სააგენტო აღნიშნავს, რომ სულ თვითმფრინავებმა მოაწყვეს დაახლოებით 150 გაფრენა, რომელთა დროს შეკრიბეს ინფორმაცია „თვით პოლონეთში და მის გარშემო" მდგომარეობის შესახებ. ფრენა ხორციელდებოდა უშუალოდ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის მახლობლად, აგრეთვე ბალტიის ზღვის რაიონში. ავაქსის თვითმფრინავებიდან ინფორმაციას გადასცემდნენ ბუნდესვერის სახმელეთო სადგურებს, სადაც მათ ამუშავებდნენ.

ნატოს ხელმძღვანელები აპირებენ ჯაშუში თვითმფრინავები შემდეგშიც გამოიყენონ. დპა-ს სააგენტო იმოწმებს „ექსპერტთა მონაცემებს" და აღნიშნავს, რომ ავაქსის სისტემის ამერიკული მანქანები „ყოველ წუთს შეიძლება კვლავ მოითხოვონ". ამავე დროს 1982 წლის თებერვალში ნატოს დასავლეთევროპელ პარტნიორებს გადასცემენ ავაქსის სისტემის პირველ თვითმფრინავს იმ 18 თვითმფრინავიდან, რომლებიც განლაგდება გეილერკირხენში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა). ვარაუდობენ, რომ ისინი იფრენენ სოციალისტური ქვეყნების „საზღვრების გასწვრივ" ნორვეგიიდან თურქეთამდე.

კრესა კადასტურებს

# «მცირე ჰავანა»... ფლორიდაში?

## აქეზებენ საერთაშორისო ტერორიზმს

**ლონდონი.** ამერიკის ხელისუფალთა მხარდაჭერით ფლორიდის შტატში ამზადებენ და წვრთნიან ემიგრანტ ბანდიტთა შენაერთებს კუბისა და ნიკარაგუის კანონიერ მთავრობათა წინააღმდეგ საბრძოლველად. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მიერ საერთაშორისო ტერორიზმის წახალისების ფაქტების შესახებ იუწყება გაზეთი „გარდიანი".

გაზეთის მაიამელი კორესპონდენტის რეპორტაჟში ნათქვამია, რომ კუბელ ემიგრანტებს ამზადებენ ამ შტატის ჩრდილოეთ ნაწილში განლაგებულ რამდენიმე ბანაკში, რომლებიც ჭაობიან ადგილას მდებარეობს. მაიამის ერთ-ერთ რაიონში, რომელსაც პრეტენზიული სახელი „მცირე ჰავანა" ჰქვია, წერს კორესპონდენტი, სავსეა კუბის მთავრობის მოწინააღმდეგეთა დაჯგუფებებით.

უკანასკნელ ხანს ფლორიდაში დაბინავდნენ ნიკარაგუის ყოფილი დიქტატორის სომოსას „გვარდიელები", რომლებიც შეიარაღებულ აქციებს ამზადებენ სანდინისტური მთავრობის წინააღმდეგ, წერს „გარდიანი".

ამგვარი საქმიანობის წინააღმდეგ პროტესტის პასუხად, როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ა. ჰეიგმა განაცხადა, ვითომდა ეს წვრთნა „იურიდიულად კანონიერი" იყოს, რადგან უწყობა „კერძო ტერიტორიაზე" და არ არღვევს ამერიკის კანონმდებლობას ნეიტრალიტეტის შესახებ.

ნიკარაგუას, ისევე როგორც კუბას, ნათქვამია სტატიაში, ვერ დააკმაყოფილებს ეს „არგუმენტები". როგორ შეხვდებოდა ამერიკის მთავრობა იმას, რომ მაგალითად, ნიკარაგუის „კერძო მიწაზე" დაეწყოთ შეერთებული შტატების წინააღმდეგ საბრძოლველად ადამიანთა სამხედრო მომზადება?



სურათზე: გამარჯვების სიხარული დინამოელების ბანაკში. [illegible] ფოტო.

# ფესტივალის ლაურეატები

## მთავარი პრიზი — ქართულ ფილმს

[illegible]

...ოპთა ანსამბლის კარგი შერჩევისათვის. ლიტვის კომპოზიტორთა კავშირმა თავისი პრიზით დააჯილდოვა კინოფილმის „მშობლიურო ჩემო მიწავ" მუსიკის ავტორი გ. ყანჩელი.

კინოენის ორიგინალობისათვის ... ეკრანზე მართლად და მკაფიოდ ასახვისათვის.

ფესტივალის პრიზებით დაჯილდოვდნენ: საუკეთესო რეჟისურისათვის — ფილმის „ალიყურის" დამდგმელი გ. მალიანი („არმე...

...შესრულებისათვის პრიზი მიენიჭა მ. აიმედოვას, რომელმაც ითამაშა სურათში „ჯამალის ხე". საუკეთესო ოპერატორული მუშაობისათვის ჯილდო ერგო ი. სილარტს, რომელმაც გადაიღო „ტყის იები" („ტალინფილმი").

...ბის თემის დამუშავებისათვის, მსახიობ ბ. ბრონდუკოვს მიენიჭა დიპლომი მუშის სახის შექმნისათვის ფილმში „მნიშვნელოვანი საუბარი" (ოდესის კინოსტუდია).

დოკუმენტური ფილმებისათვის პირველი პრიზი მიენიჭათ კინოსურათების — „აპრილის რევოლუციის სიმართლე" („ტაჯიკფილმი"), „პურის შექმნა" (როსტოვის კინოსტუდია), „მრავალჟამიერი" (საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების სტუდია) —ავტორებს.

საბავშვო და საყმაწვილო ფილმების ჟიურიმ ფესტივალის პირველი პრიზითა და დიპლომით აღნიშნა ფილმის —„შავი ქათამი, ანუ მიწისქვეშა მცხოვრებნი" — შემოქმედებითი კოლექტივი (ა. დოვჟენკოს სახელობის სტუდია). მეორე პრიზებით დაჯილდოვდნენ ავტორები ფილმებისა „არც კი დაგსიზმრებიათ" (მ. გორკის სახელობის სტუდია), „ანდრიუსი" (ლიტვის კინოსტუდია).

საუკეთესო მულტიპლიკაციური ფილმისათვის პირველი პრიზი გაინაწილეს სურათების „დაშორებულნი" („სოიუზმულტფილმი") და „დიდი თილი" („ტალინფილმი") შემქმნელებმა.

პრიზები და დიპლომები გადასცეს აგრეთვე სსრ კავშირისა და ლიტვის შემოქმედებითმა კოლექტივებმა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებმა ვილნიუსისა და კაუნასის შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებმა.

# დედაქალაქი გულში იკრავს გამარჯვებულებს!

[illegible]

# თბილისის დინამოელებს —საპატიო წოდებები

**სსრ კავშირის** მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დიდი სპორტული მიღწევებისათვის — ფეხბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამარჯვებისთვის და ამ ტურნირის მატჩებში ოსტატობის, ნებისყოფის, ვაჟკაცობის გამოვლენისთვის თბილისის „დინამოს" უფროს მწვრთნელსა და მოთამაშეებს მიანიჭა საპატიო წოდებები.

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა **ნოდარ ფარსადანის ძე ახალკაცს.**

სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდებები მიენიჭათ: **ოთარ გაბელიას, თამაზ კოსტავას, ალექსანდრე ჩივაძეს, ნოდარ ხიზანიშვილს, შოთა ხინჩაგაშვილს, ვიტალი დარასელიას, თენგიზ სულაქველიძეს, დავით ყიფიანს, ვლადიმერ გუცაევს, რამაზ შენგელიას.**

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები გახდნენ: **გიორგი თავაძე, ზაურ სვანაძე, ნუკრი კაკილაშვილი, ვაჟა ჟვანია, გიორგი ჭილაია.**

# 10 უძლიერესი

**გუშინ** მოსკოვში დაიწყო საკავშირო გუნდური პირველობა ჭადრაკში. მასში მონაწილეობს 10 უძლიერესი გუნდი — რუსეთის სფს რესპუბლიკის, უკრაინის, საქართველოს, მოლდავეთის, ლატვიის, ესტონეთის, უზბეკეთის, ბელორუსიის, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები კოლექტივები. სწორედ ამ გუნდებმა დაიკავეს პირველი 10 ადგილი საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის საჭადრაკო ტურნირში, რომელიც 1979 წელს გაიმართა. თითოეულ გუნდში 6 ვაჟი (მათ გარდა 1 სათადარიგო) და 2 მოჭადრაკე ქალია.

მოსკოვის ეს დიდი ესპარეზობა მრავალმხრივ არის საინტერესო. მან უნდა გამოარკვიოს ძალთა რა შეფარდებაა ამჟამად საბჭოთა კავშირის წამყვან ნაკრებ გუნდებს შორის. გარდა ამისა, საყურადღებო იქნება შეხვედრები პირველ დაფებზე წამყვან დიდოსტატებს შორის.

აი, ვისთან მოუხდება ასპარეზობა მსოფლიო ჩემპიონს მ. ჩიბურდანიძეს ქალთა პირველ დაფაზე. უკრაინიდან მისი მოწინააღმდეგე იქნება დიდოსტატი მ. ლიტინსკაია, რუსეთის ფედერაციიდან — დიდოსტატი ვ. ახმილოვსკაია, მოსკოვიდან — დიდოსტატი ე. ფატალიბეკოვა. ლენინგრადიდან — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, დიდოსტატი ი. ლევიტინა. სხვა გუნდებს ქალთა დაფებზე საერთაშორისო ოსტატები და ოსტატები ჰყავთ. მეტად ძლიერი მეტოქეები ეყოლება ვაჟთა პირველ დაფაზე საქართველოს გუნდის ლიდერს, დიდოსტატ თ. გიორგაძეს: დიდოსტატები ა. ბელიავსკი (უკრაინა), ე. გელერი (რუსეთის ფედერაცია), მსოფლიო ექს-ჩემპიონი ტ. პეტროსიანი (მოსკოვი), მ. ტაიმანოვი (ლენინგრადი), ა. ლუტიკოვი (მოლდავეთი), მსოფლიო ექს-ჩემპიონი მ. ტალი (ლატვია), ვ. კუპრეიჩიკი (ბელორუსია) და სხვები.

ვინ შეიძლება მივიჩნიოთ გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილის პრეტენდენტად? ეტყობა, უკრაინის, მოსკოვისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის გუნდები. უკრაინის კოლექტივი, რომელმაც საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე გაიმარჯვა, ახალგაზრდა დიდოსტატებისაგან შედგება. გუნდის ლიდერებს ბელიავსკისა და ლიტინსკაიას გარდა, აქ თამაშობენ დიდოსტატები ო. რომანიშინი, გ. კუზმინი, ვ. ტუკმაკოვი, ა. მიხალჩიშინი, ვ. სავონი, ს. პალატნიკი, საერთაშორისო ოსტატი ლ. სემიონოვა. მოსკოველებს, მართალია, აკლიათ მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი, რომელიც საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს, მაგრამ გუნდი ასევე მთლიანად დიდოსტატებისაგან ჰყავთ დაკომპლექტებული. აქ, სხვებთან ერთად, გამოვა მსოფლიო ექსჩემპიონი, 60 წლის ვ. სმისლოვი, რომლის თამაშმა მოსკოვის ამასწინანდელ სუპერტურნირზე ყველა მოხიბლა არაჩვეულებრივი სიმსუბუქით. როგორც ყოველთვის, ძლიერი და თანაბარია რუსეთის სფს რესპუბლიკის კოლექტივი, თუმცა მას ამჯერად აკლია დიდოსტატი ლ. პოლუგაევსკი (ისიც საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს).

საქართველოს ნაკრები ამ შეჯიბრებისათვის მზადების მიზნით ამას წინათ თბილისში მონაწილეობდა ოთხთა მატჩ-ტურნირში და შემდეგ შეკრებაზე დაადგინა თავისი საბრძოლო შემადგენლობა.

მოსკოვშივე გაიმართება შეჯიბრება იმ გუნდებს შორისაც, რომლებიც უძლიერესთა ათეულში ვერ მოხვდნენ. ამ ტურნირში გამოვლენ ლიტვის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და თურქმენეთის გუნდები.

საკავშირო გუნდური პირველობა თავისი შემადგენლობით არაფრით არ ჩამოუვარდება ევროპის ჩემპიონატს და, შეიძლება ითქვას, „ერების ტურნირებზს" ან, როგორც მას სხვანაირად უწოდებენ, საერთაშორისო ოლიმპიადების ღირსეული მეტოქეა.

**გ. გამრეკელი.**

# საშუენირო ორბიტა

**ძიუდო.** ბუდაპეშტში დაწყებულ ევროპის ჩემპიონატში წარმატებით გამოდიან საბჭოთა სპორტსმენები. 95-კგ-ზე ზევით წონით კატეგორიაში კონტინენტის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ჩელიაბინსკელმა გ. ვერიჩევმა (ფინალში დაამარცხა ბულგარელი დ. ზაპრიანოვი). 95 კგ-მდე წონით კატეგორიაში თბილისელი თ. ხუბულური ვერცხლის მედალს დასჯერდა. აქ ჩემპიონი გახდა ფრანგი რ. ვაშონი.

**ფეხბურთი.** გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. პირველ ევროპულ ჯგუფში ბულგარეთის ნაკრებმა დაამარცხა ფინეთის ნაკრები — 4:0, ხოლო მეოთხე ჯგუფში — უნგრეთმა სძლია რუმინეთს — 1:0.

**სსრ კავშირის** ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) მორიგ მატჩში მოსკოვის „სპარტაკმა" მოუგო ალმა-ათის „ყაირათს" — 3:0.

**კრივი.** ტამპერეში (ფინეთი) დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი. ამ შეჯიბრებაში წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები მოიპოვეს ი. მუსტაფოვმა და პ. ლესოვმა (ორივე — ბულგარეთი), ვ. მიროშნიჩენკომ (სსრ კავშირი), რ. ნოვაკოვსკიმ (გდრ), ვ. რიბაკოვმა, ვ. შიშოვმა, ს. კონაკბაევმა, ა. კოშკინმა, ი. ტორბეკმა, ა. კრუპინმა, ა. იაგუბკინმა (ყველანი — სსრ კავშირი) და ფ. დამიანიმ (იტალია). საბჭოთა სპორტსმენთაგან ვერცხლის მედალი მიილო ვ. იაკოვლევმა (91კგ-ს ზევით), ბრინჯაოს მედლებს დაუფლნენ შ. საბიროვი (48 კგ) და ს. ნურკაზოვი (57 კგ).

*საიუბილეო რეპორტაჟები*



# შენ გამარჯვება გქვია სახელად

**ვინც** ამ დღეებში გამარჯვების პარკში ყოფილა, კასკადის — მრავალსაფეხურიანი წყლის ჩანჩქერის თავში უთუოდ შენიშნავდა ხარაჩოებში ჩამჯდარ ძეგლს, რომელსაც მშენებლები გარს დასტრიალებენ. ზოგს ამწე მანქანით სპილენძის დიდი ფირფიტები აქვს და ქანდაკებას „ხორცს ასხამს", ზოგი კი კვარცხლბეკს გრანიტის ქვით კაზმავს.

აქ შევხვდით დიდების მემორიალის კომპლექსის უნიკალური ნაგებობის პროექტის ერთ-ერთ ავტორს, „თბილისქალაქპროექტის" ინსტიტუტის პროექტის მთავარ არქიტექტორს კიაზო ნახუცრიშვილს და ვთხოვეთ განემარტა: როგორ სახეს მიიღებს მემორიალი ძეგლის დამთავრების შემდეგ და, საერთოდ, რა შინაარსია ჩაქსოვილი დიდების მთელ ანსამბლში; აქვე მოგახსენებთ, რომ მემორიალის კომპლექსის მეორე ავტორია აწ განსვენებული ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი.

— დიდების მემორიალის კომპლექსში განზოგადებული და ასახულია ჩვენი ხალხის გმირობა და გამარჯვება. — გვითხრა მან. კასკადის თავში აღმართული გამარჯვების სიმბოლური ქანდაკება, რომლის ავტორია საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი გიორგი ოჩიაური, გამოხატავს ქართველი ქალის სახეს, რაც ნაწარმოებს დიდ იდეურ შინაარს ანიჭებს.

ფიგურა მოჭედილია სპილენძის ფურცლებით, დედას ერთ ხელში საბრძოლო დიდების სიმბოლო — მუხის ტოტი უპყრია, მეორეში კი აფრიალებული მანდილი.

ქანდაკება 6,5 მეტრი სიმაღლის გრანიტის კვარცხლბეკზე დგას. მისი სიმაღლე მთლიანად ოცდაორვა მეტრია.

საიუბილეო ზეიმისათვის მას ხარაჩოები შემოეხსნება და კასკადის ზედა არქიტექტურული სახე მთლიანად დასრულდება. თვითონ ქანდაკება კი დაბლიდან ისე აღიქმება, თითქოს სივრციდან დაჰყურებდეს უცნობი ჯარისკაცის საფლავს.

— მაგრამ, როგორც ვიცით, ამით არ მთავრდება დიდების მემორიალის ანსამბლის მშენებლობა, შემდგომში რის გაკეთებას აპირებთ?

— სარიტუალო მოედანზე, სადაც უცნობი ჯარისკაცი ასვენია, დაიდგმება გ. ოჩიაურის სამმეტრიანი ზომის ფიგურები — „წინაპართა აჩრდილები". კასკადის ნაგებობის ორივე მხარეს გათვალისწინებულ დეკორაციულ კედლებზე გამოსახულ გორელიეფებზე აღიბეჭდება დიდი სამამულო ომის სიუჟეტები, რომლებსაც სათანადო წარწერები ექნება. აქვე დაიდგმება სხვადასხვა ზომის ქანდაკებები თემაზე „სიცოცხლე გრძელდება". ეს ოპტიმისტური თემა კიდევ უფრო ძლიერსა და მიზანდასახულს გახდის ძეგლის იდეურ გადაწყვეტას.

შემდგომში გამარჯვების პარკში გათვალისწინებულია ომის ვეტერანთა კლუბის, საბრძოლო დიდების მუზეუმის შექმნა, სახელგანთქმული მხედართმთავრების, თბილისელი შინმოუსვლელების, საბჭოთა კავშირის გმირების ხეივნების გაშენება და სხვ.

პარკის ტერიტორია მნიშვნელოვნად გალამაზდება, შეივსება ძვირფასი ჯიშის მცენარეებით.

ახლა მშენებლების შესახებ, რომლებიც ძალასა და ენერგიას არ იშურებენ, რომ საიუბილეო ზეიმს ღირსეული საჩუქარი მიუძღვნან, ძეგლს აშენებს „საქჰიდროენერგომშენის" ტრესტის კოლექტივი. მისი მმართველი მ. ცისკარიშვილი, მოადგილე ი. ნებიერიძე, სამმართველოს უფროსები ჯ. ნათალიშვილი, ნ. ბელიაშვილი, სამუშაოს მწარმოებლები ვ. შერაზადაშვილი, ი. ვექილოვი, ა. ლოგოვი მუდამ თავს დასტრიალებენ მუშებს. დიდ ყურადღებას იჩენენ მშენებლობისადმი თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალური მშენებლობის კულტურის განყოფილების თანამშრომლები, გამარჯვების პარკის კოლექტივი და მრავალი ორგანიზაცია.

მალე ძეგლი, საზეიმოდ გაიხსნება.

**ლარისა ხუბულური.**

**სურათზე: გამარჯვების სიმბოლური ქანდაკება — „მადლიერი დედა".**

*საგასტროლოდ გვეწვია მოსკოვური „კოლხეთი" და „ივერია"*

# ქართული ცეკვის მოტრფიალენი

**მრავალგზის** აღვუფრთოვანებივართ ქართული ხალხური ცეკვის ოსტატებს, მაგრამ სულ სხვაგვარი განცდა გიპყრობს, როდესაც სცენაზე არიან სხვა ეროვნების ჭაბუკები და ქალიშვილები, რომელთაც შეუსწავლიათ, შეუყვარებიათ და შეუსისხლხორცებიათ ჩვენი „ქართული" და „მთიულური", „სამაია" და განდაგანა".

ჩვენი სტუმრები არიან მოსკოვის ბაბუშკინის კულტურისა და ტექნიკის სახლის ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლები „კოლხეთი" და „ივერია". დღევანდელი კონცერტი ანსამბლისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: როგორი იქნება მათი ახალი შეხვედრა ქართველ მაყურებელთან? როგორ შეძლებენ ქართული ცეკვის ურთულესი ნიუანსების გადმოცემას? ღელავს თითოეული მათგანი.

მღელვარება თანდათან უკან იხევს და სცენას ცეცხლოვანი „მხედრული" იპყრობს. კონცერტი, რომელიც ამ დღეებში რკინიგზელთა სახლში გამართა ანსამბლმა, დიდხანს ემახსოვრება თბილისის საზოგადოებრიობას. აღფრთოვანებულმა მაყურებელმა მხურვალე ოვაციებით დააჯილდოვა მოცეკვავეები. და მართლაც, გასაოცარია, ისე ასრულებენ ბაბუშკინელი გოგო-ბიჭები ქართულ ცეკვებს, თითქოს მთელი ცხოვრება ქართულ სინამდვილესთან აკავშირებდეთ. მათ დიდად ეხმარებიან პედაგოგები, რომლებიც ცეკვასთან ერთად ასწავლიან ქართველი ხალხის ისტორიას, კულტურას, ყოფას. სტუდიის ხშირი სტუმრები არიან სსრ კავშირის სახალხო არტისტები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი, კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე, პოეტ-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე.

ანსამბლი თავისი შემადგენლობითა და სპეციფიკით მეტად თავისებურია. აქ შეხვდებით სხვადასხვა ასაკის (ყველაზე პატარა 6 წლისაა), პროფესიისა და ეროვნების წარმომადგენლებს. ისინი ერთ ორგანიზმად უქცევია ქართული ცეკვის, ქართული კულტურის დიდ სიყვარულს. „ეს ანსამბლი, — აღნიშნავდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნ. ნადეჟდინა, — უნიკალური მოვლენაა თავისი თვითმყოფადობით, კოლორიტით, უზარმაზარი აღმზრდელობითი მუშაობით".

— **ანსამბლის არსებობის 24 წლის მანძილზე — გვეუბნება მისი დამაარსებელი და ხელმძღვანელი რევაზ ჯანიაშვილი, — გვქონდა 1400-მდე კონცერტი და გამოსვლა ყრილობათა სასახლეში, სვეტებიან დარბაზში, დიდ თეატრში, კულტურის სახლებისა და ფაბრიკა-ქარხნების სცენებზე. ვიყავით საგასტროლოდ საზღვარგარეთ, მონაწილეობა მივიღეთ თბილისში გამართულ მოსკოვის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაში... მოძმე რესპუბლიკის ხალხის შემოქმედების საშუალებით ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ-ესთეტიკურ აღზრდაში მიღწეული წარმატებებისა და მაღალმხატვრული საკონცერტო მოღვაწეობისათვის კოლექტივი დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის, საქალაქო საბჭოს აღმასკომის, მშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით.**

როგორც ხედავთ, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში, მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს კულტურულ-სამეცნიერო ცენტრში ბინა დაუდიათ ქართული ცეკვის დესპანებს. ანსამბლები „კოლხიდარები", „ივერია" და „კოლხეთი" — სამი თაობა, სამი შტოა ერთი დიდი, საქართველოს მოტრფიალე ოჯახისა. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა ხელოვნების განვითარებისათვის პარტიისა და მთავრობის გულითადი ზრუნვისა, საბჭოთა ხალხის ძმობისა და მეგობრობისა.

ანსამბლის ამჟამინდელი გასტროლები ეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავს. ამ დიდ ზეიმზე მრავალი სტუმარი ეწვევა საქართველოს მზიანეთს, მაგრამ „კოლხეთისა" და „ივერიის" სტუმრობა მაინც გამორჩეულია. ისინი თავიანთი ხელოვნებით, ერთგვარად, მასპინძლებიც არიან. მათ უკვე დაიწყეს თავიანთი საგასტროლო ტურნე. კონცერტები გამართეს მცხეთაში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ დუშეთსა და გორს ესტუმრებიან.

ისლა დაგვრჩენია, მადლობა მოვახსენოთ, მივესალმოთ და გზა დავულოცოთ ჩვენს საპატიო სტუმრებს.

**ნანა თათელაძე.**





**სურათებზე: მოსკოველი მოცეკვავეები ასრულებენ „მხედრულს" და „ნარნარს".**

**ს. კილაძის ფოტო.**

# ო. კ. ლესელიძე



ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 55 წლისა გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის მონაწილე, თადარიგის პოლკოვნიკი ოთარ კონსტანტინეს ძე **ლესელიძე.** მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მან მოახმარა სოციალისტურ სამშობლოს, ხალხის, კომუნისტური პარტიის საქმის უანგარო სამსახურს, რომლის წევრიც იყო 1946 წლიდან.

ო. კ. ლესელიძე დაიბადა 1925 წელს საქართველოს სსრ ქალაქ მახარაძეში, განთქმული საბჭოთა მხედართმთავრის, საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის ოჯახში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, რკინიგზის ტექნიკუმის მოსწავლე იყო, რომ 17 წლის ყმაწვილი მოხალისედ შევიდა საბჭოთა არმიის რიგებში და მონაწილეობდა ბრძოლებში ლეგენდარული მე-18 არმიის ნაწილების შემადგენლობაში.

ომისშემდგომ პერიოდში ო. კ. ლესელიძე, თბილისის საარტილერიო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სამეთაურო გადიოდა სხვადასხვა სამეთაურო თანამდებობაზე: მსახურობდა თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი, წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი მეთაურთა უმაღლესი საარტილერიო სასწავლებლის დივიზიონის მეთაურად. იგი მუდამ უნარიანი მეთაურისა და აღმზრდელის თვისებებს ავლენდა, ბევრ ძალ-ღონესა და ენერგიას ახმარდა ოფიცერთა კადრების მომზადების საქმეს, მათ პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდას. ო. კ. ლესელიძე გამოირჩეოდა უაღრესი გულისხმიერებითა და ყურადღებით ადამიანებისადმი, მოკრძალებით, უბრალოებითა და მაღალი პრინციპულობით, მომთხოვნელობით საკუთარი თავისა და თანამოსაქმეებისადმი. ყოველივე ამან დამსახურებული ავტორიტეტი და ხელქვეითთა და რესპუბლიკის პარტიულ-საბჭოთა აქტივის პატივისცემა მოუხვეჭა.

ო. კ. ლესელიძე აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეწეოდა დიდ მუშაობას მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის. იგი არაერთხელ აურჩევიათ ადგილობრივი საბჭოს დეპუტატად.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასეს სამშობლოს წინაშე ო. კ. ლესელიძის დამსახურება, მიანიჭეს მას მთავრობის ჯილდოები. მას მიღებული ჰქონდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.

ო. კ. ლესელიძის, კომუნისტური პარტიის ერთგული შვილის, შესანიშნავი ამხანაგის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ყველას გულში, ვინც მას იცნობდა.

**ამხანაგების ჯგუფი.**

# ო. კ. ლესელიძის დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება ამა წლის 16 მაისს 19 საათზე განსვენებულის ბინაში — თორხნიშვილის ქუჩა, 26.

17 მაისს სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 13 საათზე, თბილისის ოფიცერთა სათვლქო სახლში. გამოსვენება — 15 საათზე.

დაკრძალვა მოხდება საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

# ს. გ. ყაუხჩიშვილის დამკრძალავი კომისიისაგან

**სამოქალაქო** პანაშვიდი გაიმართება 16 მაისს დღის 2 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში (ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 1) გამოსვენება 16 საათზე. დაკრძალვა დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



# წიგნი მარად ცოცხალ ხელოვნებაზე

**ბოლო** დრომდე თითქმის არ მოგვეპოვებოდა თვალსაჩინო სამაგიდო წიგნი მსოფლიო ხელოვნების დიდი ოსტატების ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. სხვას რომ თავი დავანებოთ, სტუდენტობა დაყრდნობილი იყო მცირე რეპროდუქციულ მონაცემებსა და ცალკეულ სტატიებზე. ამ ხარვეზს ერთგვარად ავსებს ა. გელოვანის წიგნი „მარად ცოცხალი ხელოვნება".

ამ წიგნის გამოცემა საგულისხმო მოვლენაა არა მარტო მაღალი პოლიგრაფიული დონით, დიდი ცოდნითა და გამოვნებით შერჩეული და განლაგებული ილუსტრაციების სიუხვით, არამედ უწინარეს ყოვლისა, შინაარსით, მეცნიერული წვდომითა და ხატოვანი სტილით, რაც ამ თითქმის 600-გვერდიან შრომას მართლაც სამაგიდო წიგნად აქცევს. დიდ მხატვრებზე დაწერილი ყოველი ცალკე სტატია შთამბეჭდავი მოთხრობის მსგავსად იკითხება, ამავე დროს გასდევს შინაგანი ლოგიკური ძაფი, რაც მსოფლიო ხელოვნების კორიფეების შემოქმედებაში განსაკუთრებული ინტენსიურობით განსხვავებული ხელოვნების მთლიანი ისტორიის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა. წიგნის ღირსებაც სწორედ ეს არის.

ადრეც ვწერდი ამ წიგნის პირველი გამოცემის მხატვრულ და ისტორიულ მნიშვნელობაზე, წერდნენ სხვებიც; მაღალი შეფასება მისცა მას ჟურნალმა „ვ მირე კნიგ". მეორე გამოცემა უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია. წიგნი განივრცო, გაღრმავდა, შესწორდა, დაემატა ახალი საინტერესო თავები, რითაც ავტორი ღრმად იჭრება ხელოვნების ეკიდეგანო სფეროში. ძნელია რომელიმე წიგნზე ვთქვათ, უნაკლო და უშეცდომოაო, ალბათ აქაც იქნება რაიმე უზუსტობა ან კორექტურული დაუდევრობანი, მაგრამ მთავარია წიგნის არსებითი შემეცნებითი ღირსება. ამ წიგნის გამოცემით „ხელოვნებამ" მკითხველთა მადლობა დაიმსახურა.

ავტორი გაბედულად მსჯელობს ბევრ სერიოზულ ფენომენზე, წერს ფართო მონასმით, მახვილი იუმორის გრძნობით, გვაწვდის მრავალ ისეთ ცნობას, დეტალს, რაც სხვაგან იშვიათად, ან სულ არ შემხვედრია. სადაც საჭიროა, პოლემიკურიც არის, დამაჯერებლად ეკამათება ზოგიერთ კრიტიკოსს უმართებულო შენიშვნების გამო. მოცემულია ტიციანისა და რუბენსის ხელოვნებათა საერთო არსის, ტიციანისა და ტინტორეტოს ურთიერთობის ორიგინალური ანალიზი და სხვა.

ახალ გამოცემას დასაწყისშივე დაემატა თავები „რა არის ხელოვნება", „ეგვიპტური ხელოვნება", „შუმერული ხელოვნება", „ქართული ხელოვნების სათავეებთან". ამ სერიაში მწერალს ისე მოხდენილად და გააზრებულად დაუკავშირებია [illegible] ...ულია სხვადასხვა დროს ჩვენში, რუსეთსა და უცხოეთში გამოცემულ მრავალ მეცნიერულ შრომაში. საინტერესოა ამასთან მწერლის მიგნება, ვარაუდები, რომელთაც საფუძველი მოეპოვებათ მითოლოგიაში, ხელოვნების ძეგლებში, ენაში.

ისტორიის ორომტრიალში იჭედებოდა იბერიული ფოლადი, იბერიული ხელოვნება, რაც მასშტაბურად არის განხილული ისტორიულ, ლინგვისტურ და სხვა ხასიათის მასალაზე დაყრდნობით. ხელოვნებასთან კავშირშია ერის ბედი და უბედობა, გადარჩენის რწმენა, რითაც ეს შრომაც გამოირჩევა.

ეყრდნობა რა ისტორიულ წყაროებს და ხელოვნების ძეგლებს, ავტორი ეხება აგრეთვე ქართველთა და ბასკთა ხელოვნებას.

დიდ ხელოვანთა ცხოვრება და შემოქმედება — საპატიო, რთული და პასუხსაგები თემაა. ა. გელოვანის მოღვაწეობა ამ სფეროში დიდი ხანია თვალსაჩინოა. ეს ხანგრძლივი შრომა დაგვირგვინდა ამ წიგნით, რომელიც მხატვრული ნაწარმოებივით იკითხება, მაგრამ იძლევა მრავალმხრივ სერიოზულ ცოდნას. მწერალმა შეძლო ამ საპატიო ტვირთის აწევა და ამისი საზღაურია ფართო მკითხველის ინტერესი — მიუხედავად დიდი ტირაჟისა (40 000 ცალი), მაღაზიების თაროებზე ვეღარ ნახავთ, ყველას სურს ჰქონდეს ასეთი გემოვნებით გამოცემული, ილუსტრაციების სიით, ანბანური საძიებლით და მხატვართა ავტოპორტრეტებით აღჭურვილი ნაშრომი.

წიგნში ცალკე განყოფილება ეთმობა დიდ მხატვართა ლექსების თარგმანებს. მიქელანჯელოს პოეზია ხომ ისეთივე მაღალმხატვრული ფენომენია, როგორც მისი ფერწერა და ქანდაკება. ეს ღირსება თარგმანებშიც თვალსაჩინოდ იგრძნობა. აი, თუნდაც „დანტეს" დასაწყისი:

> **ხად შეგვიძლია საკადრისი**
> **ვუთხრათ დიდება,**
> **ისე სულმნათობს სხივთამთოველ**
> **მნათობთა შორის.**
> **ადვილ არს წყევლა მისთა**
> **მტერთა შხამის და შმორის,**
> **ახვლა კი დანტეს სიმაღლეზე**
> **გაგვიჭირდება...**

ინტელექტუალური ქართველი მკითხველი დაინტერესებულია ხელოვნებით. სასიამოვნოა იმის შეგნება, რომ ეს სულიერი წყარო ჩვენშიც უშრეტ ნაკადად მოჩქეფს.

**ვ. ონიანი,**

**საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი — მოქანდაკე.**

**ტელევიზია**

**16 მაისი**

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.00 — „მოამბე", 10.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 10.55 — „თქვენთვის, მშობლებო!" (მ.), 11.25 — შევისწავლოთ ქართული ენა, 11.55 — „ძმობის კანონი", 12.30 — დოკუმენტური ფილმი, 13.00 — „თბილისი და თბილისელები". სატელევიზიო ჟურნალი, 13.30 — ქართული მხატვრული ფილმი „მთვარის მოტაცება". მეორე სერია. 14.40 — ვოკალურ ინსტრუმენტული ანსამბლი „აფსნი-60". საესტრადო კონცერტი, 15.05 — მოსწავლეთათვის — „მხიარული შეჯიბრება", 15.35 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.20 — „კონსტანტინე წერეთელი", 17.10 — „კოზინცევის ჰამლეტი" — ფიქრები წლების გადასახედიდან შექსპირის ტომით ხელში, 18.15 — „წარდგენილია რუსთაველის პრემიაზე: მუშნი ლასურია, 18.55 — მოსწავლეთათვის — „საქართველოს პიონერი", 19.50 — „თეატრალური საღამო". სცენაზეა ახალგაზრდობა, 21.00 — „მოამბე", 21.30 — აფხაზეთის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — „საბჭოთა აფხაზეთი 60 წლისაა". საზეიმო სხდომის რეპორტაჟი სოხუმიდან..


**კომუნისტი**

**ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:**

ლენინის ქ. 14.

380096, თბილისი-96,

**რედაქცია:**

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის—93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-48-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.

**საკორესპონდენტო პუნქტები:**

მოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.

უე 02238

2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

რედაქტორის მოადგილე

**გ. ნაჭყებია.**